# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 2010 წელი.

№201 (6567)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ნაც...ელიტურად ტვინგასხელებულთა ნაბოდვარი,



ანუ, ბოლოს და ბოლოს, როდის ააშენებენ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყანას (თუნდაც ჩვენნაირს!) გერმანელები და როდის მიხვდებიან, რომ იმათ დედაქალაქში არ უნდა იდგეს „საბჭოური სიმბოლო“ – „გამათავისუფლებელი“ ჯარისკაცის ძეგლი?





3

## თუკი ჟურნალისტს და ადვოკატს საკუთარი აზრის გამოთქმის ეშინია, ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს

## „სულის ენა“ და „სასტუმრო“ საქართველოს ბედისწერა

7



2

## ხელისუფლებამ დემოკრატობანას გათამაშება გადაწყვიტა

## ისინი იყვნენ არაპროფესიონალები?



10



## ბორის ბერეზოვსკი: რუსეთი იშლება, პუტინის დაბრუნება კი ამ პროცესს დასასრულამდე მიიყვანს

# ლისტიევის მკვლელობის შემკვეთი პუტინი იყო?

3

№ 201. ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 2010 წელი.

შეხვედრა

*ეს ერთმა სტუდენტმა თქვა, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ ის ერთადერთი არ არის. ბევრი მისი თანატოლი (შეიძლება უფროსი ასაკისაც) დღეს ასე ფიქრობს. გულის სიღრმეში თუ ჩავიხედავთ, მივხვდებით, რომ თავის მხრივ ისინიც არ სტყუიან. მათ უყვართ, სტკივათ საკუთარი მამული, მაგრამ იქ თვითრეალიზებას ვერ შესძლებენ, მათთვის აპრობირებული სოციალური გარემო უკვე სხვაგანაა. ეს ტენდენცია საშიშია, მაგრამ რეალობაა.*



# გალელი ვარ, მაგრამ იქ ქართველები რომც დაბრუნდნენ, სტუმრად თუ ჩავალ...

გუშინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იმ წარმატებულ ახალგაზრდებს შეხვდნენ, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილები არიან. პროფესორები, დოქტორები, სპორტსმენები, კულტურისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე ოცამდე ახალგაზრდა დაესწრო შეხვედრას. მართალია, დეტალურად ვერა, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც შეეხნენ პოლიტიკურ, სოციალურ თუ მორალურ პრობლემებს. აფხაზეთიდან დევნილი ახალი თაობა ძველ თაობას იმას საყვედურობს, რომ პრობლემები დაუტოვა. მაგრამ შეეძლოთ კი ჩვენს მამებს ამის მოგვარება, რამდენად იყო საამისო რესურსი მაშინ?! აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა ამბობს, რომ მის თაობას ძალისხმევა არ დაუკლია აფხაზებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად. სთავაზობდნენ აფხაზური სასკოლო საგნების სრული კურსის შემუშავებასაც კი, მაგრამ საბჭოთა პროპაგანდით მოწამლულ აფხაზ ინტელექტუალებს მაშინ ეს პრობლემები ნაკლებად აღელვებდათ.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სოციალურმა მედიამ, ინტერნეტსივრცემ საკმაოდ დააახლოვა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები. არასამთავრობოთა ეგიდითაც რამდენჯერმე მოხდა მათი შეხვედრა ხან ერევანში, ხან კოსოვოში, მოსკოვში თუ სხვაგან. აფხაზეთის ახალგაზრდებს კიდევ უფრო მეტად სტკივათ საკუთარი ერის ბედი. ვის სჭირდება ასეთი დამოკიდებულება, იკითხავენ ისინი, ენა იკარგება, კულტურა და ტრადიციები თანდათან ქრება, აქტუალობას კარგავს, საშინელება ხდება ეკოლოგიის კუთხით და სხვა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ მაინცდამაინც ქართველებთან თანაცხოვრება სურთ. გია გვაზავა ამბობს, თუ აფხაზები ვერ გადარჩებიან, ჩვენც ვერ გადავრჩებით, რადგან ჯერ სულ პატარა ერები გაქრებიან, მერე კი ჩვენც მათ რიგში აღმოვჩნდებითო. **„როცა ვთქვი, სერგეი შამბა ჩემი დაკარგული სინდისია-მეთქი, შამბამ ძალიან განიცადა, არადა მართლა არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ მათი ეთნოსის საწინააღმდეგოდ სადმე გამოვსულიყავით, რამე მსგავსი გვეთქვა“,** – აღნიშნა მან.

ვირტუალურ სამყაროში, სადაც ინტერნეტის მეშვეობით ხვდებიან ერთმანეთს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები, ურთიერთობა ბევრად მარტივია. აფხაზებს ემსხვრევათ შეხედულებები „კაციჭამია“ ქართველებზე. ძალიან ბევრი ისტორიის სახელმძღვანელოების გაგზავნას ითხოვს. ანუ იცვლება ახალი თაობის ცნობიერება. თუმცა ქართველი ახალგაზრდები პრობლემებს იმაში ხედავენ, რომ მათ ძალიან ცოტა შანსი ეძლევათ პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, გააკეთონ ერთობლივი პროექტები და სხვა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კი ახალგაზრდებს სთხოვენ, რაც შეიძლება აქტიურად მოიძიონ ერთმანეთი, გამონახონ საერთო ენა, არ გაწყვიტონ კონტაქტები... შეხვედრაზე საქართველოში აფხაზეთის რადიოსა და ტელევიზიის გახსნის აუცილებლობაზეც ისაუბრეს.

გია გვაზავამ კიდევ უფრო საინტერესო თემები გაახმიანა: „მოლაპარაკებათა პროცესში აქტიურად განიხილება ნეიტრალური დოკუმენტის – გაეროს პასპორტის საკითხი, რომელიც თავისუფლად გადაადგილების საშუალებას მისცემს აფხაზებს. და მეორეც, შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირის პროექტი, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობას აღიარების გარეშე. აფხაზი პოლიტიკოსებისთვის საქართველო დახურულია, მათ გეზი ევროპისკენ აიღეს. აი, სწორედ ეს შანსი უნდა გამოიყენოს ქართულმა მხარემ. უნდა შევძლოთ, დავარწმუნოთ ისინი: გზა ევროპისკენ, ოღონდ ერთად!“

**ამის პოტენციალი და რესურსი ყველაზე მეტად ახალ თაობას აქვს, მათ ვისაც ომი ბუნდოვნად ახსოვთ, ან სულაც კონფლიქტის შემდეგ მოევლინენ ქვეყანას. ოღონდ, მამათა როლი ისაა, მომავალი თაობა სწორედ მათი კუთხის სიყვარულით აღზარდონ, თორემ მერე არც უნდა ეწყინოთ შვილების გულწრფელად ნათქვამი, რომ უყვართ აფხაზეთი, მაგრამ მხოლოდ ირეალურად...**

**თეა მოსია**

ვისია, ვისია?..



***საქართველოს** ხელისუფლების გადაწყვეტილებით მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობა საჯარო გახდება. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა. ხელისუფლების ამ ინიციატივას ოპოზიციის კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა, რადგან წლების განმავლობაში, არასამთავრობო სექტორისა თუ ოპოზიციის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, რამდენიმე წამყვანი მედიასაშუალების მფლობელის ვინაობა დღემდე უცნობია. გასათვალისწინებელია, რომ მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობის საჯაროობას „მაუწყებლობის შესახებ კანონიც“ ითვალისწინებს, თუმცა ამ კანონის დარღვევისთვის დღემდე პასუხი არავის უგია.*

*რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ მედიამფლობელების ვინაობის გახმაურება? – ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „**მედიანიუსი**“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელს **ინგა გრიგოლიას** ესაუბრა.*

# ხელისუფლებამ დემოკრატობანას გათამაშება გადაწყვიტა

– ძალიან სასაცილოა, როცა მედიამფლობელების ვინაობის საჯაროობისთვის ამდენი ხანი ვიბრძოდით და ხელისუფლება სწორედ ახლა, რევოლუციიდან ამდენი წლის შემდეგ, უცბად ალაპარაკდა ამ თემაზე.

**– თქვენი აზრით, რა გახდა ამის მიზეზი?**

– საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მიერ გამოქვეყნებული რეიტინგების მიხედვით, მედიის თავისუფლების კუთხით, საქართველოში მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ 19 ადგილით უკან გადაინაცვლა და მე-100 ადგილზე აღმოჩნდა. ეს დიდი დარტყმა იყო სააკაშვილის ხელისუფლების იმიჯისთვის საერთაშორისო საზოგადოების თვალში. რამდენადაც ვიცი, ამის გამო ჩვენი ხელისუფლება აშშ-ს მთავრობამაც სერიოზულად გააკრიტიკა და გარკვეული რეკომენდაციები მისცა. ამიტომაც გადაწყვიტეს, ისევ დემოკრატობანა გაითამაშონ.

**– ანუ, ფიქრობთ, რომ შესაძლოა დავით ბაქრაძის განცხადება მხოლოდ განცხადების დონეზე დარჩეს და რეალურად კანონპროექტი არ მიიღონ?**

– არ ვიცი, თუმცა როგორც ჩანს, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის მსოფლიოს დაუმტკიცონ, თითქოს დემოკრატიულ ხელისუფლებას წარმოადგენენ და დემოკრატიულ ქვეყანას აშენებენ. ვნახოთ, რამდენად შეასრულებენ დანაპირებს. მაგრამ თუ კი, მართლაც მიიღებენ ამ კანონს და მხოლოდ განცხადებების დონეზე არ დარჩება, რაც დღეს პარლამენტის თავმჯდომარისგან მოვისმინეთ, მაშინ მე მივესალმები. მაგრამ თუ კი, კანონიერების აღდგენაზეა საუბარი, პირველ რიგში, ტელეკომპანია „იმედი“ უნდა დაუბრუნონ კანონიერ მფლობელს – ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს.

**– მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობის საჯაროობას „მაუწყებლობის შესახებ კანონიც“ ითვალისწინებდა, თუმცა ბევრი ტელეკომპანიის რეალური მფლობელის ვინაობა დღემდე არ არის ცნობილი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაშიც მედიამფლობელების ვინაობის გასაიდუმლოება მაინც მოხერხდება და ამაზე პასუხს არავინ აგებს?**

– კანონის მიღების შემთხვევაში მოუწევთ საჯარო გახადონ ამა თუ იმ ტელეკომპანიის დოკუმენტაცია და მფლობელთა ვინაობა. და თუ ტელეკომპანია „იმედის“ დოკუმენტაცია საჯარო გახდება, ადვილად დამტკიცდება, რომ „იმედის“ რეალური მფლობელი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახია.

რაც შეეხება დანარჩენ ტელევიზიებს, მათი მფლობელების ვინაობის დასახელებით აღმოვაჩენთ, თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ესა თუ ის ტელევიზია და ადვილად გაიშიფრება, ვის ინტერესებს ემსახურებოდა და ვისი ძალისხმევით ხდებოდა მფლობელების გამოცვლა. ამიტომ ვარაუდის დონეზე არ მინდა ლაპარაკი. ვნახოთ, რამდენად წავლენ ამაზე.

ინფორმაცია

# რამზან კადიროვი: საქართველოს პრეზიდენტის განცხადებები გულუბრყვილო და არაკორექტულია



**გულუბრყვილოსა და არაკორექტულს უწოდებს ჩეჩნეთის მეთაური საქართველოს პრეზიდენტის კომენტარს იმის შესახებ, რომ კადიროვი საქართველოს შესახებ განცხადებებს იმიტომ აკეთებს, რომ თავისი საშინაო პრობლემებიდან ყურადღება საგარეო მტერზე გადაიტანოს.**

– მე არასოდეს მომსვლია აზრად ჩემი თავის ტკივილი სხვაზე გადამებრალებინა, მით უფრო საქართველოს ხელისუფლებაზე. საკმარისია ჩამოხვიდე ჩეჩნეთში და მიხვდები, რომ ჩვენ სწრაფად და ოპერატიულად შეგვიძლია პრობლემების გადაწყვეტა, ურთულესი პრობლემებისაც კი... სააკაშვილის განცხადებები კი გულუბრყვილოდ და არაკორექტულად გამოიყურება, – აცხადებს კადიროვი.

მისივე თქმით, საქართველოში ბოლო დროს გაჩნდა მედია, რომელიც დღე და ღამე დამახინჯებულ ინფორმაციას ავრცელებენ რუსეთის ჩრდილოკავკასიაში არსებულ სიტუაციაზე.

– ეს ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ თბილისს არა აქვს სურვილი და მისწრაფება გაიგოს, რომ აყვავებული საზოგადოების შექმნა მეზობლებთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე შეუძლებელია, – აცხადებს კადიროვი.

# რუსები ისტორიულ სიმართლეს აპროტესტებენ

**რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები „ოლმა მედია გრუპის“ გამოცემულ ატლასში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში შეტანას აპროტესტებენ.**

საპროტესტო მიტინგი სახელწოდებით – „ის, რისი გაკეთებაც იარაღმა ვერ შეძლო, გეოგრაფიულმა რუკებმა გააკეთეს“ გუშინ გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ უმსხვილესი რუსული გამომცემლობის „ოლმა მედია გრუპის“ მიერ სასწავლო წლის დასაწყისისთვის გამოვიდა „მსოფლიოს დიდი უნივერსალური ატლასი“ დიდი ტირაჟით.

ატლასზე რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონები აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად გამოყოფილი არ არის.

ატლასის რუკები შედგენილია და გამოცემისათვის გამზადებულია „ნაციონალური კარტოგრაფიული კორპორაციის„ მიერ.

* * *

**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პერ ეკლუნდის შეფასებით, რუსულ რუკებში აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შეტანა მისასალმებელია.**

– მოგეხსენებათ ევროკავშირის მკაცრი მიდგომა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს ნაწილი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და კარგია, რომ რუსულ რუკაზეც ასეა ნაჩვენები, – აღნიშნა ეკლუნდმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ელდა გვაკლდა!

# დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს დენი გაეთიშება

**საქართველოს მოქალაქე, რომელსაც თუნდაც ერთი კომუნალური გადასახადი აქვს გადაუხდელი, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტომატურად შეუწყდება! ქვეყანაში კომუნალური გადასახადების ამოღების ახალი მექანიზმი ამოქმედდება.**

„ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის შესახებ“ კანონში ცვლილებები მიმდინარე თვეში შევიდა, რომლის მიხედვით დენის, გაზის, წყალმომარაგების და დასუფთავების გადასახადის ამოღება კოორდინირებულად მოხდება. ადმინისტრირების სამსახურს უახლოეს მომავალში წყალმომარაგების და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია შექმნის. კომუნალური მომსახურების კომპანიები ვალდებულნი არიან 2011 წლის პირველ იანვრამდე ყველა მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია კომისიას მიაწოდოს, რათა მონაცემთა ერთიანი ბანკი შეიქმნას. ცვლილებებიც სავარაუდოდ 1 იანვრიდან ამოქმედდება.

SIC!



# ლისტევის მკვლელობის შემკვეთი პუტინი იყო?

## ბორის ბერეზოვსკი: რუსეთი იშლება, პუტინის დაბრუნება კი ამ პროცესს დასასრულამდე მიიყვანს

**რუსეთის ხელისუფლების მიერ დევნილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი სააგენტო „პირველს“ ესაუბრება**

* * *

**— ბატონო ბორის, როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება მოსკოვის მერის თანამდებობიდან იური ლუჟკოვის გადაყენების შესახებ?**

— დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ხელისუფლებისთვის ბრძოლის დასაწყისია. 2012 წელს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია და მზადება უკვე დაიწყო. მოსკოვი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ცენტრია. მერის თანამდებობაზე კრემლს აბსოლუტურად ლოიალური ადამიანი სჭირდება.

**— მოსკოვის ყოფილი მერი ხელისუფლების მიმართ ლოიალური არ იყო?**

— ლუჟკოვი თავისებურია. 1999 წელს მან ევგენი პრიმაკოვთან ერთად ფედერალური ხელისუფლებისთვის ბრძოლა სცადა, თუმცა მაშინ ძალიან სუსტი აღმოჩნდა.

**— რუსი ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ ლუჟკოვის გადაყენებით მედვედევსა და პუტინს შორის ბრძოლა დაიწყო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— მსგავსი მოსაზრებები რუსეთის ხელისუფლებაში არსებული რეალური სიტუაციის სრული არცოდნაა. სინამდვილეში მედვედევი ხელისუფლებაში ისეა, როგორც ბოსტნეული, რომელიც დათესეს და უვლიან, პუტინი კი ყაჩაღია, მაგრამ ბოსტნეული — ნამდვილად არა და შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლებისთვის მტკიცედ იბრძოლებს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მედვედევის ირგვლივ ბოლო პერიოდში ძლიერი ფინანსურ-სამრეწველო და პოლიტიკური ჯგუფები ჩამწკრივდნენ, რომლებმაც იგი ფარად აიფარეს. ასეთი ჯგუფები პუტინის ირგვლივაცაა და ბრძოლა არა მედვედევსა და პუტინს, არამედ ამ ჯგუფებს შორის მიმდინარეობს.

**— ქართველი ექსპერტები თვლიან, რომ დასავლეთი ფსონს მედვედევზე აკეთებს, რამდენადაც მისთვის პუტინის ხელისუფლებაში დაბრუნება მიუღებელია, ხოლო მედვედევის მმართველობის პირობებში რუსეთის მოდერნიზაციას გაცილებით რეალურად მიიჩნევს. თქვენი აზრით, რა შანსები აქვთ მედვედევსა და პუტინს?**

— დასავლეთს არასოდეს ესმოდა, რა ხდება სინამდვილეში რუსეთში. ყველა პარტიას, რომელიც დასავლეთში ხელისუფლებაში მოდიოდა, რუსეთში არსებული სიტუაცია ცუდად ესმოდა, რაც ძალიან სამწუხაროა. ერთ-ერთმა წამყვანმა პოლიტოლოგმა, რომელიც თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწე იყო, თქვა: „ვინც აკონტროლებს ევრაზიას, ის აკონტროლებს მსოფლიოს“. ამიტომ დასავლეთისთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, როგორ ჩამოყალიბდება, საბოლოო ჯამში, რუსეთი. ბოლო პერიოდში დასავლეთში ინტელექტუალურმა პოტენციალმა ძალიან იკლო. ამის თქმა აშშ-ისა და რამდენიმე ევროპელი ლიდერის მაგალითზე შეგვიძლია. ჩემი აზრით, მედვედევი არათუ დამოუკიდებელი ფიგურაა, არამედ საერთოდ არ წარმოადგენს ფიგურას. არსებობს სახელი და გვარი, მაგრამ ფიგურა უბრალოდ არ არის. თუმცა პუტინთან მიმართებაში დასავლელი ლიდერების შიშებს დავეთანხმები. პუტინის ხელისუფლებაში დაბრუნება რუსეთის გაქრობას ნიშნავს. ქვეყანა უკვე განიცდის დეგრადაციას, რაც ძალიან სამწუხაროა. რუსეთი იშლება, პუტინის ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში კი მისი დაშლის პროცესი დასრულდება.

**— რუსული მედიის ცნობით, თქვენ მოსკოვის ყოფილ მერს იური ლუჟკოვს და მის მეუღლეს ელენა ბატურინას ფინანსურ დახმარებას დაჰპირდით. ნიშნავს თუ არა ეს სამომავლოდ თქვენს თანამშრომლობას და ლუჟკოვის პოლიტიკური აქტიურობის სამომავლო დაფინანსებას?**

— რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეში, არც ისე კორექტულია. ლუჟკოვს არაფერს დავპირებივარ იმის გარდა, რომ მან დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება შეძლოს, თუ ამას თავად გადაწყვეტს. რაც შეეხება თანამშრომლობას, ამაზე საუბარი არ ყოფილა და არც იქნება, რადგან ჩვენ განსხვავებული იდეები და პოზიციები გვაქვს.

**— ჩეჩნეთის პარლამენტში 19 ოქტომბერს განვითარებული მოვლენები რუსი ექსპერტების ნაწილმა იმის დასტურად შეაფასა, რომ რეგიონში ლატენტური სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. თქვენი აზრით, რას უკავშირდება 19 ოქტომბრის მოვლენა?**

— ყველასთვის ცნობილია, რომ ჩეჩნეთში დიქტატურაა, რომლის სათავეში ყაჩაღი კადიროვია. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს დიქტატურა მალე გადავარდება. გარე ტვინი, რომელიც ჩეჩნეთს მართავს, სხვა არაფერია, თუ არა „პოტიომკინის სოფელი“. ხალხი იქ ნაცემი და დაშინებულია. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მიზანმიმართულად და შეგნებულად კეთდება კადიროვის დახმარებით, რომელსაც პირადად პუტინი უჭერს მხარს. კადიროვის რეჟიმი პუტინის რეჟიმის განუყოფელი ნაწილია.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ დასავლეთში გარკვეული ძალები ზაკაევის სახით დოკუ უმაროვის ალტერნატივის შექმნას ცდილობენ, რითაც ჩეჩნური წინააღმდეგობა ეროვნულ კალაპოტს უბრუნდება. ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ თქვენ ახმედ ზაკაევს ფინანსურ დახმარებას უწევთ. რა შეგიძლიათ, თქვათ ამასთან დაკავშირებით?**

— შემიძლია, ვთქვა, რომ ზაკაევს დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაში დავეხმარე და მაშინ ადვოკატებისთვის თანხის ნაწილი გადავიხადე. სხვა ფინანსური დახმარება მისთვის არ გამიწევია და არ ვუწევ.

რაც შეეხება ზაკაევს, როგორც უმაროვის ალტერნატივას, ასე გიპასუხებდით: ზაკაევი ბრწყინვალე პოლიტიკოსია, ძალიან ჭკვიანი და ამასთან, რაფინირებული. იგი ერთდროულად ძალიან მორწმუნეა და ძალიან განათლებული. ვთვლი, რომ ზაკაევი ჩეჩენი ერის ჭეშმარიტი ლიდერია, ყაჩაღი კადიროვისგან განსხვავებით. შემიძლია, ასევე ვთქვა, რომ ზაკაევი ჩეჩენი ერის მომავალია.

**— ბოლო ხანს რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ჟურნალისტ ვლად ლისტევის მკვლელობის ერთ-ერთ დამკვეთად თქვენ სახელდებით. როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა რუსეთის ხელისუფლებას ლისტევის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით თქვენი გვარის ხსენება?**

— უკეთესი იქნებოდა, ეს კითხვა რუსეთის ხელისუფლებისთვის დაგესვათ. კარგად მახსოვს, როგორ ამბობდა პუტინი თავის დროზე, როგორ არ მოსწონდა ლისტევის „OPT“-ს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ყოფნა. ამ განცხადების შემდეგ არ გამოვრიცხავ, ამ დანაშაულის უკან სწორედ პუტინი იდგეს.

**— თუ დავუშვებთ, რომ ლისტევის მკვლელობის შემკვეთი სწორედ პუტინი იყო, რა მოიგო ამით პუტინმა?**

— პუტინი ძალიან მჭიდრო კავშირში იყო პეტერბურგელ ბანდიტებთან, რომლებიც სარეკლამო ბიზნესში იყვნენ ჩართულები. როგორც იცით, ეს ბიზნესი ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. როდესაც ლისტევმა საკუთარი გადაწყვეტილებით ამ ბიზნესს გზა გადაუღობა, თანაც — არა „OPT“-ს ინტერესების სასარგებლოდ (მხედველობაში მაქვს ტელეარხზე რეკლამის აკრძალვაძ, ამან ძალიან ბევრის შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით მათი, ვინც ამ ბაზარს აკონტროლებდა.

**ლევან ჭითანავა**

პენიტენციური სისტემა

# ერიკ იოსტერი: თუკი ჟურნალისტს და ადვოკატს საკუთარი აზრის გამოთქმის ეშინია, ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს

***საქართველოში ორკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ბრემენის ადვოკატთა კოლეგიის დელეგაცია, რომელსაც აღმასრულებელი საბჭოს წევრი ერიკ იოსტერი ხელმძღვანელობდა. გერმანელი ადვოკატები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილთან ერთად, გლდანის №8 საპყრობილეში იმყოფებოდნენ და იქ არსებული ვითარება შეისწავლეს. ერიკ იოსტერმა ქართულ პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებას კრიტიკული უწოდა. საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსმა“ ერიკ იოსტერს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის შეფასება სთხოვა.***

— თბილისის ციხეებში ყოფნის დროს საშინელი ფაქტები ვნახე. შემაშფოთებელია ის, რომ ბოლო წლებში არაერთი ქართველი ადვოკატია დაკავებული. უცხოეთში აუცილებლად დასვამდნენ კითხვას, თუ რატომ არიან დაკავებულები ადვოკატები? ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ მათი დაკავება მართლაც კრიმინალურ ქმედებებთან იყოს დაკავშირებული.

პირველი, რა განცდაც ჩნდება, ისაა, რომ არსებობს თუ არა ქვეყანაში აზრის გამოხატვის თავისუფლება? სასჯელაღსრულების №8 საპყრობილეში გამეფებულია ისეთი მდგომარეობა, როცა ადვოკატები დგანან და ელოდებიან თავიანთ კლიენტებთან შეხვედრას. ასეთი რამ ევროპაში არ ხდება. ეს უფლება არ უნდა იყოს შეზღუდული.

ვნახე, როგორ იმყოფებოდა 100-ზე მეტი ადვოკატი აღნიშნული დაწესებულების წინ და ელოდებოდნენ მონაცვლეობით რიგს, თანაც გარკვეული არც ის იყო, მოახერხებდნენ თუ არა ისინი თავიანთ დასაცავ ადამიანებთან შეხვედრას.

საქართველომ უკვე მოახდინა რატიფიცირება იმ ხელშეკრულებისა, რომელიც გაეროსა და ევროპაში ადამიანის უფლებების მდგომარეობას ეხება და მათ შორის იცავს ადვოკატთა უფლებებს. დაპატიმრებული პირებიც ხომ ადამიანები არიან? არ ვარ დარწმუნებული, რომ ციხეებში ამ ადამიანის უფლებები გარანტირებულია, რადგანაც შევიტყვე, რომ ამ ციხეში 6000-ზე მეტი პატიმარია. ერთ საკანში იმყოფება 5-ზე მეტი პატიმარი. ევროპული სტანდარტებით კი, ყოველ პატიმარზე რვა კვადრატული მეტრი მაინც უნდა იყოს გამოყოფილი. საქართველოში, ეს უფლება დარღვეულია თუნდაც იმით, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში, უკვე 6000-ზე მეტი პატიმარია. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები როგორც გალიებში, ისე არიან მოთავსებულები.

გერმანული, ევროპული და საერთაშორისო კანონმდებლობებით, ადამიანები პატიმრობაში რომ არიან, არ ნიშნავს, ისინი ჩაკეტილები და წამების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მაქვს დიდი ეჭვი, რომ საპატიმროებში პატიმრების არავითარი დასაქმება არ ხდება. ეს უფლებაც ადამიანის უფლების კატეგორიას განეკუთვნება.

იხ. 9 გვ.

## ვაი ურაპატრიოტიზმისგან!

**პატრიოტიზმი ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარიაო, ნათქვამია. თუ ამ ფრთიან ფრაზაში ოდნავი სიმართლე მაინც არის, მაშინ ურაპატრიოტიზმი კვადრატში აყვანილი ნაძირლების თავშესაფარი და ერთადერთი სამოქმედო არეალი ყოფილა.**

პარლამენტში „პადოშას" მიერ ინიცირებულ ე. წ. კანონპროექტზე მოგახსენებთ, რაც საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვასაც ითვალისწინებს „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე" ჩვენი, „დემოკრატიული" საქართველოს სინამდვილეში.

რა არის ეს, თუ არა ურაპატრიოტიზმი? ხოლო თუ მოცემულ დროსა და სივრცესაც (ქვეყანა თავზე დაგვენგრაძ გავითვალისწინებთ, როცა „პადოშას" თავში ეს „ბრძნული, ქვეყნის გადამრჩენი" იდეა იშვა, სხვისი არ ვიცი და მე უსაქმო კაცისა და მახათის პერიფრაზირებული იგავი გამახსენდა — უსაქმო „პადოშამ" ლაჯებში ნამგალი გამოისვაო!

**არ ვიცი, მართლა ავიდა თუ არა ევერესტზე (ბოროტი ენები დაბეჯითებით ირწმუნებიან, არაო...) ბატონი „პადოშა", მაგრამ მლიქვნელობის, მაამებლობის, ევერესტიც და ჯომოლუნგმაც რომ ჩვენ თვალწინ დაიპყრო, ეს უეჭველია.**

მის ამ „გენიალურ" იდეას პარლამენტს გარეთაც გამოუჩნდნენ მხურვალე მხარდამჭერები ცნობილი ლიბერასტების დავით ამირეჯიბისა და ლევან ჩოლოყაშვილის (აფსუს, რა გვარებია?!ძ სახით.

— დიახაცაო! — ბრძანეს კავკასიის „ბარიერში" ამ „დიდგვაროვანმა" ხლისტებმა, არათუ საბჭოთა დროს აგებული შენობების ფასადებზე უნდა ამოვჩორკნოთ ნამგალისა და უროს ნასახი თუ სხვა საბჭოთა სიმბოლოები, არამედ ბაღდათელი გენიოსის, მაიაკოვსკის ძეგლის აღების საკითხიც უნდა დაისვასო.

მეორე მხარის (რომელსაც „ბარიერში" გოგი ხოშტარია და ლაშა ბაქრაძე წარმოადგენდნენძ ისეთი არგუმენტები, რომ ეს ისტორიაა, უბრალოდ ამ ურაპატრიოტ ნათავადშვილარებზე არ ჭრის.

თურმე ეგ ჩვენი ისტორია არ არის, რადგანაც ის, რაც საბჭოთა და უფრო ადრე, მეფის რუსეთის დროს ხდებოდა, გარედან, დამპყრობლის მიერ ძალით თავსმოხვეული ყოფილა და ამიტომ!

**მოდი და ედავე ახლა ამისთანა ტუტუცებს! — თამარის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით გიორგი ბრწყინვალის მეფობის მცირე პერიოდს, სულ დაპყრობილები და გარედან „თავსმოხვეულები" არა ვართ დღემდე? ან ასე არ იყო აღმაშენებლამდეც? ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, ერთი მეორეს რომ მივათვალოთ, ჯამში 2 საუკუნეც არ გამოვა, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა". ჰოდა, რა გამოდის, პრაქტიკულად მთელს ჩვენს ისტორიაზე უარი ვთქვათ?**

გოგი ხოშტარიას კიდევ ერთ „უსუსურ" არგუმენტზე — **კონსტანტინე გამსახურდიამ „ბელადი" დაწერა და რა ვქნათ, დავწვათო?** — ისე ააფოფრა ამირეჯიბი, მისგანაც კი არ მოველოდი.

**კოწია როცა მაგას წერდა, ქართველი არ იყო! უფრო მეტიც, მაგას მაშინ ნახევარი ტვინი უმუშავებდა და ეს არის შიზოფრენიაო!**

**გაიგეთ, ხალხო? ქართული მწერლობის ერთ ტიტანს, შიზოფრენიკი უწოდა ამ მართლა დამთხვეულმა, სოროსის ბაგაზე დაბმულმა დავით ამირეჯიბმა!**

ხსენებულ „ბარიერს", რატომღაც არ ესწრებოდა ამ თემის მთავარი ავტორი, ქართველი რეინჰოლდ მესნერი (მსოფლიოს ყველა დროის უპირველესი ალპინისტიძ, ოპოზიციის მანათობელი ვარსკვლავი „პადოშა", რომელიც მეორე დღეს მიბრძანდა აქუბარდიას „სპექტრში" და ისეთები და იმდენი „დაახვავა", რომ ქვემოთ მხოლოდ „მისი ბრძნული აზრების სამყაროში" ვთავაზობ მკითხველს ჩემთან ერთად „მოგზაურობას". მაშ ასე:

### პადოშ, პადოშ, შენსა მზესა, მიშა მაყუთს ბევრს გაძლევსა?

**ჯერ იყო და, საწყალ აქუბარდიას დაავიწყდა, რომ ის „პადოშა" ჰყავდა ეთერში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ, მართლა ვალოდია ჟირინოვსკის... ჯინჭარაძესავით რადიატორთან იჯდა, მაგრამ მაინც ოპოზიციაში იყო, და შეაპარა, — იქნებ მართლა ოპოზიციაში გადახვიდეო!**

**ამაზე ისე „ახტა" ჩვენი „პადოშა", რომ...**

— მე რა, ოპოზიციაში არა ვარ? აბა მე თუ არა, „ეგენი" არიან ოპოზიციაშიო?! — და ა. შ.

მოკლედ, რომ იტყვიან, თავბედი აწყევლინა აქუს, ეს რა წამოგცდაო, მაგრამ ეგ იქით იყოს.

საბჭოთა სიმბოლიკებთან დაკავშირებით, თბილისის „დინამოსთან" გაავლო პარალელი — ზვიადის დროსაო, თბილისის „დინამოს" იბერია ერქვა და, როგორც კი შევარდნაძე მოვიდა, მაშინვე აღადგინეს საბჭოური სტატუსკვოო. თანაც ცინიზმი ნახეთ — „იბერია", ანუ ეროვნული სახელი, საბჭოური „დინამოთი" შეცვალესო.

რა უნდა უთხრა ამ მართლა პადოშშუბლიანს?

**ის, რომ დინამო, თუ არ ვცდები, ბერძნული სიტყვაა და ძალას ნიშნავს?**

თუ ის, რომ დასავლეთში, რომლითაც ხშირად აპელირებენ, მაგალითად, გერმანიაში, დღესაც არსებობს საფეხბურთო გუნდი **დრეზდენის „დინამო"** და ჯერჯერობით არავინ ფიქრობს ამ „საბჭოური გადმონაშთის" ეროვნულ **„დოიჩლანდად" გადანათვლას? აღარაფერს ვამბობ ბუქარესტის, ზაგრების თუ სხვა დინამოებზე, ანუ გუნდებზე იმ ქვეყნებისა, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან.**

თუ ის, რომ თბილისის „დინამო", მიუხედავად საბჭოური ნათლობისა, ყოველთვის ეროვნულობით იყო გაჯერებული და 100 ათასი კაცი „დი-ნა-მო, დი-ნა-მოს!" რომ დავსჭექდით მინიმუმ კვირაში ერთხელ (სხვათა შორის, როგორც წესი, რუსეთის გუნდებთან თამაშებზეძ, სწორედ ეროვნული გრძნობების გამოვლინება იყო.

აქედან გამომდინარე კი, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხნით საქართველოს უპირველეს გუნდს ოფიციალურად „იბერია" ერქვა, ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ „ი-ბე-რია, ი-ბე-რია!" ეყვირა სტადიონს.

იგივეს თქმა სხვა მიმართებითაც შეიძლება. მაგალითად, „ვორონცოვი" ავიღოთ.

ჯერ კიდევ კომუნისტებმა ამ რუსი გენერლის ძეგლი რომ აიღეს, მერე რა აღარ გადაარქვეს ამ მოედანს, მაგრამ ხალხი დღესაც „ვორონცოვს" ეძახის ამ უბანსაც, ხიდსაც და მოედანსაც. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ საქართველოს უკეთესი შვილები, თავის დროზე ემადლიერებოდნენ ამ კაცს საქართველოს მიმართ კეთილი ღვაწლისა გამო და **დიმიტრი ყიფიანი, ილია თუ აკაკი, ვალდებულად თვლიდნენ თავს, რომ, თუ ოდესმე მოხვდებოდნენ, სადაც პენსიონერმა გრაფმა სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა, მოხუცი გენერალი ან მისი ქვრივი მოენახულებინათ, ქართველი ხალხის სახელით მადლობა ეთქვათ.**

თუმცა რაღა შორს მივდივართ? აგერ ბერლინის კედლის დანგრევა გავიხსენოთ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, **რომ არა კომუნიკაციაში ხელის შეშლა, გერმანელები არ შეეხებოდნენ!**

დიახ ეს ასეა, თორემ **სხვაგვარად, არც იმ კედლის ფრაგმენტს დატოვებდნენ, როგორც ძეგლს საკუთარი ისტორიისა.**

ან იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ **ბერლინის ცენტრში დღესაც დგას ავტომატიანი „გამათავისუფლებელი" რუსი ჯარისკაცის „ალიოშას" მონუმენტი, რომლის აღებაც ფიქრადაც არ მოსვლია დიდ გერმანელ ხალხს, რომელმაც, რატომღაც ჩვენზე „ოდნავ უკეთესი" დემოკრატია მაინცააშენა?**

ან „ადიდასი" თუ „პუმა", ეს მსოფლიოში აღიარებული სპორტული ბრენდები სწორედ საბჭოთა სიმბოლიკიანი მაისურებით თუ ე. წ. სპორტული კოსტიუმებით, ჩვენში რომ რეიტუზებს ვეძახით, იმით ვაჭრობს და „CCCP" თუ ნამგალი და უროს სიმბოლიკიან ნაწარმს, არც თუ ცოტა მყიდველი ჰყავს?

ჰოდა, რას ნიშნავს გია თორთლაძის გაცხელებული ტვინის გამო ე. წ. საბჭოთა სიმბოლიკების გამოყენების აკრძალვის კანონი? **რომელ დემოკრატიაში წერია ეს?** ან, რას გვთავაზობს სანაცვლოდ ალპინისტებში პირველი პოლიტიკოსი და პოლიტიკოსებში პირველი ალპინისტი?

**რას და, ალბათ თანამედროვე ნაცსიმბოლიკას: გმირთა მოედნის უსახური სვეტის სახით, რომელსაც ენაკვიმატმა თბილისელებმა „სამში ერთი" შეარქვეს, ასევე თბილისელების „ნათლულ" შსს შენობას „ფაჩიკოს გარმონს" და მშვიდობის, ანუ „ოლვეისულტრა" ხიდს.**

ასე რომ, ამხანაგო პადოშებო, დემოკრატებო და ლიბერასტებო! არ გაგივათ ეგ ურაპატრიოტიზმი დემოკრატიული იავნანას თანხლებით, რადგანაც, ჯერ ერთი, ვიცით, ვინცა ბრძანდებით და მეორეც, რაც ყველაზე მთავარია, იმასაც ვხვდებით, რასაც ესწრაფვით ამ ურაპატრიოტული თამაშებით:

წარსულის, ისტორიის უპირობო განქიქებაა სწორედ ურაპატრიოტიზმი, რაც, ვიმეორებ, ნაძირლების საუკეთესო თავშესაფარია, ხოლო ეს „საფარი", თავის მხრივ, საკუთარი თავის წარმოჩენისთვის არის საჭირო. და კიდევ იმისთვის, რომ ყველაფერში დამნაშავე რუსი, რუსეთი და მხოლოდ რუსეთია! და აქედან არაფერში — საკუთარი ხელისუფლება.

**ეს, სხვათა შორის, ერთგვარი ფანდიც არის. პირდაპირ, ღია ტექსტით, ვეღარ ბედავენ ხელისუფლებისთვის დითირამბების მღერას და ამიტომ ყველაფრის გარეშე ძალებისთვის გადაბრალება იგივეა, რაც ნაცების შეფარული ხოტბა. ნაცებისა, რომლის ბაგაზეც არიან დაბმული „პადოშას" მსგავსი პოლიტიკოსები, ექსპერტები თუ სხვა პროსახელისუფლებო „ოპოზიციონერები".**

**ვინძლო, ბაგაში თივა არ მოაკლდეთ!**

**დავით მხეიძე**

# ნაც...ელიტურად ტვინგაცხელებულთა ნაბოდვარი,



„ალიოშას" ეს ძეგლი, საბჭოთა მეომრების ხსოვნისადმი მიძღვნილ სხვა ძეგლებთან ერთად, ბერლინში დღესაც დგას!

**ანუ, ბოლოს და ბოლოს, როდის ააშენებენ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყანას (თუნდაც ჩვენნაირს!) გერმანელები და როდის მიხვდებიან, რომ იმათ დედაქალაქში არ უნდა იდგეს „საბჭოური სიმბოლო" - „გამათავისუფლებელი" ჯარისკაცის ძეგლი?**



თანამედროვე ნაცსიმბოლიკა

## განსჯა

# SMS-კონსტიტუცია, „გათიშული" ოპოზიცია და ხალხის პასიურობა

**საზოგადოების უმრავლესობის სრული და შეიძლება ითქვას დანაშაულებრივი პასიურობა ქვეყნის მთავარი კანონის — კონსტიტუციის რეფორმასთან მიმართებაში იმითაც იყო გამოწვეული, რომ ოპოზიციამ რატომღაც არ ჩათვალა საჭიროდ ხალხის მობილიზება ამ თემის ირგვლივ. არადა, ბედის ირონიით, ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფორმა სწორედ ოპოზიციის მოთხოვნის საპასუხოდ წამოიწყო.**

როდესაც 15 ოქტომბერს პარლამენტი ტელეკამერების თანხლებით ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდა, ზუსტად იმ დღეს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია ჩვენი კონსტიტუციის პროექტზე საბოლოო დასკვნებსა და რეკომენდაციებს განიხილავდა. საზოგადოება სახალისო სცენის მოწმე გახდა. იმის დასტურად, რომ ვენეციის კომისია საკონსტიტუციო ცვლილებებს დადებითად აფასებს, და რომ თურმე კომისიის აზრით, „საქართველოს კონსტიტუცია მთლიანად შეესატყვისება ევროპულ ტრადიციებს", პარლამენტის თავმჯდომარემ ვენეციის კომისიის მდივნის ტომას მარკერტის ციტატა საკუთარი მობილური ტელეფონიდან წაუკითხა აუდიტორიას. მანამდე კი მსგავსი შინაარსის SMS შეტყობინება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მიიღო და ჩვეულ სტილში დაგვაბოლა.

ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი საზოგადოებისათვის ალბათ საინტერესო იქნება გაიგოს, თუ რა წერია სინამდვილეში ვენეციის კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საბოლოო დასკვნაში. დასკვნის ბოლო 110-111 თავებში ვკითხულობთ: „შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები უზრუნველყოფენ რამდენიმე (?!ძ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საყურადღებო ნაბიჯს კარგი მიმართულებით, რასაც მიესალმება ვენეციის კომისია".

იხ. 8 გვ.

როინ მეტრეველი

# ღალატი და ერთგულება

## კომენტარი ვახტანგ ორბელიანზე ალექსანდრე ორბელიანის „მოგონების“ გამო

მოღალატე რევაზ ანდრონიკაშვილს საიდუმლოდ კაცი გამოუგზავნია ვახტანგ ორბელიანთან ყარაბულახში, ბატონიშვილი გიორგის ბრძანებით — ჯარში წასვლას თუ აპირებ, არ წახვიდეო. როცა დრო მოვა მე თავად გინახულებ და პირადად გადმოგცემ გიორგის ნაბრძანებსო. ბატონიშვილი მართლაც იყო მინდობილი რევაზ ანდრონიკაშვილზე. ეს უკანასკნელი სარგებლობდა მისი ავადმყოფობით და თავის დასთან ერთად ძირს უთხრიდა ერეკლე მეფეს. გარკვეული დროის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილმა გამოუძახა ყარაბულახში ვახტანგ ორბელიანს და უთხრა: ალა-მაჰმად-ხანი ორას ათასზე მეტი ლაშქრით მოემართება, მეფე ირაკლი ქალაქის მაცხოვრებლებთან ერთად მთიულეთის მთებს აფარებს თავს. გიორგი ბატონიშვილმა შემოგითვალათ, თქვენც აიყაროთ და ტყიან მთაში გაიხიზნოთო. დაძმას (ვახტანგსა და ეკატერინეს) აზრად არ მოსვლიათ გადაემოწმებინათ რევაზ ანდრონიკაშვილის ჩამოტანილი ამბის სისწორე, აიყარნენ და მთის სიმაგრეებს შეაფარეს თავი. რევაზი თავისი ვერაგული ზრახვების სისრულეში მოსაყვანად თბილისს დაბრუნდა.

ამგვარი მოღალატური განწყობის გამო, რაც ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული, ვერ შეკრიბა მეფემ სათანადო რაოდენობის ჯარი, იგი ხუთი ათასამდე კაცით გავიდა კრწანისის ველზე. არც ბრძოლისას აკლდა მოღალატეები და მწარედ დამარცხდა. ნიშანდობლივია, რომ საგარეჯოს მოურავი გიორგი ჩოლოყაშვილი მოტყუებით სადღაც გაგზავნეს. ამ მხრიდან ორი ათასი რჩეული მოლაშქრე გამოდიოდა. ალექსანდრე ორბელიანის მიხედვით, ისინი „მეფის ირაკლის საქებური მეომრები იყვნენ; მოუთმენლად ელოდნენ ერეკლეს ბრძანებას, „რომ ერეკლესთან კიდევ ჩვენი სისხლი დავღვაროთ ჩვენის მამულისათვის და ყიზილბაშებს ჩვენი ხმალი კიდევ ვაჩვენოთო“. რევაზ ანდრონიკაშვილმა ვითომც გიორგი ბატონიშვილის ბრძანებით, მათაც „აყრა გამოუცხადა“. ალექსანდრე ორბელიანი გაკვირვებული კითხულობს: „რატომ ქუდზე კაცი არ გამოვიდა და მეფეს ირაკლისთან ერთად ხმალს არ იქნევდნენ მამულისთვის?“ და დაასკვნის: „ყველა გვარეულობა შემცოდენი იყვნენ მეფეს ირაკლისთან.“ ალექსანდრე ორბელიანს მამის მიერ ჩადენილი დანაშაულის (ღალატის) მსხვერპლად თავისი თავიც მიაჩნია: „უფალი იესო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ირაკლი საქართველოთი ბევრმა იუდებმა. უსამართლო შვილითი შვილამდეო. გადაგვხდა კი იმათ შვილებს ის მათი ღალატი.“*

როგორც ჩანს, ვახტანგ ორბელიანი მწვავედ განიცდიდა ჩადენილ მძიმე დანაშაულს — მეფე ერეკლეს ფაქტობრივ ღალატს. ხშირად მიმართავდა თურმე თავის მეუღლეს — თეკლა ბატონიშვილს: „მე იმის შემდეგ მოსვენებით აღარა ვარ; მე რომ ისე საჩქაროდ გავიქეც ჩემი დით ეკატერინეთი“.** დღე არ გავა, მე ეს არ მომაგონდესო — აღნიშნავდა ვახტანგი და დარდობდა: „ვუღალატე ჩემს მეფეს, მერე როგორ მეფეს, ჩვენთვის წამებულ ერეკლეს“. ვახტანგ ორბელიანს მიაჩნდა, რომ მას და მის დას — ეკატერინეს გარეჯელებისათვის რომ შემოეძახათ — მეფე ერეკლეს უჭირს, მივეშველოთო, მთელი გარეჯოზა მოიგლიჯებოდა სამი ათასი ცხენიანი მეომრით და მაშინ ნახავდა თავის ყოფას ალა-მაჰმად-ხანი.

ვახტანგ ორბელიანმა, როგორც თავად ამბობს, არ იცოდა რევაზ ანდრონიკაშვილის მტრობა ერეკლე მეფის მიმართ. თეკლა ბატონიშვილი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო და არ ამართლებდა ქმრის საქციელს.

ვახტანგ ორბელიანი, როგორც ჩანს, დიდ სამსახურს უწევდა რუსულ მმართველობას. სწორედ რუსეთის ერთგულებისათვის (ეს აღნიშნული იყო ციციანოვის 1804 წლის 29 მაისის პატაკში იმპერატორისადმი), მან პოლკოვნიკის წოდება მიიღო და ყოველწლიური ჯამაგირიც დაენიშნა. ყოველივე ამან ვახტანგ ორბელიანი წაახალისა და მეტად გაადიდგულა. იგი ფაქტობრივად უარყოფდა ქართულ ენას, ქართველობას, მიიჩნევდა, რომ ქართული წერა-კითხვის ცოდნა მისი შვილებისთვის სავალდებულო არ იყო.

თეკლა ბატონიშვილმა მოახერხა უკუეგდო მეუღლის მიდრეკილებები და ღირსეული შვილები აღზარდა.

ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს მამის უგვანო საქციელს 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, როცა სააშკარაოზე გამოჩნდა ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური სახე. ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს, რომ რუსეთის მმართველობა აიძულებდა ქართველ თავადებს ამბოხებული კახელების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. კავკასიის მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩმა თავისთან მიიყვანა თავადები და ყველას პირობა დაადებინა, რუსის ჯარს გაჰყოლოდნენ კახეთში და რუსთხელმწიფისთვის ერთგული სამსახური გაეწიათ. ვახტანგ ორბელიანი შეწუხებული დაბრუნებულა სახლში და თეკლასთვის მიუმართავს „...ეს ერთი მამათქვენის, ჩემი მეფის ერეკლეს და მამულის ღალატი არ მეყო, რომ ახლა კიდევ უნდა ვუღალატო, როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა. უნდა წავიდე ქართველმა კაცმა და ქართველ კაცს თოფი ვესროლო ჩემის ხელმწიფეების და ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაც კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ“.* ვახტანგ ორბელიანი თავის ნაბიჯს ასე ამართლებს: „თუ ჩვენ იმათ (კახელებს — **რ.მ.**) თოფს არ ვესვრით, ცოლშვილებით უნდა დაგვღუპონ... აბა რა ვქნა ამის შემდგომ, თუ არ შევწუხდე?“

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული თეკლა ბატონიშვილი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიმართავს მეუღლეს: „ — ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნუღარ დააყოვნებთ საქმეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს თქვენ ცოლშვილებსა, თუნდა სულ ერთიან ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს კახელებს...“** ვახტანგ ორბელიანმა ვერ მისცა მას მოთხოვნის შესრულების პირობა. შეწუხებული თეკლა შეჰღაღადებს ქმარს: „... რაღა გვეშველება, საუკუნოდ დარჩა საქართველო რუსებსა“. სასოწარკვეთილმა ვახტანგმა აღელვებულმა მიუგო მეუღლეს: „დარჩა თუ არ დარჩა ეგ ღმერთმა იცის, მე კი ველარ მნახავ ცოცხალს ბატონიშვილო.“ თან შესთხოვა თეკლას, ამ ჩვენს წვრილშვილებს გაუფრთხილდი და რაც გეყოლება (თეკლა ბატონიშვილი ორსულად იყოძ, იმასაცო.

ვახტანგ ორბელიანი თანშეზრდილ ბერელასა და კიდევ ექვსი მსახურის თანხლებით წავიდა კახელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1812 წლის კახელების აჯანყება ფართო მასშტაბისა იყო. მიზეზი რუსი ჯარისკაცების თავგასული მოქმედება იყო. ჯარისკაცები ოჯახებში პურს ეძებდნენ და ძალით მიჰქონდათ. ლოთობდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს. აჯანყება 1812 წლის 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო. მათ მეზობელი სოფლებიც შეუერთდა. აჯანყებულებმა თელავი დაიკავეს. შემდეგ სიღნაღიც აიღეს. თანაც გზადაგზა რუსის ჯარს ანადგურებდნენ. გააქციეს და დიდად აზარალეს საეგზეკუციო რაზმები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში.***

ცხადი იყო, რომ აჯანყებულ კახელებს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. უშუალო ბრძოლის გარდა, ისინი ცდილობდნენ ქართლის, ყაზახის, ფშავ-ხევსურეთისა და სხვა მხარეების შემოერთებას. აჯანყებულები შეეცადნენ დარიალის გზის ჩაკეტვას, რათა რუსის ჯარის დამატებითი ნაწილები არ შემოსულიყო. ამბოხება ქართლშიც გავრცელდა, მაგრამ იქ მალე ჩააქრეს. 1812 წლის თებერვლიდან კავკასიის მთავარმართებელი პაულუჩი თავად ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას. 1 მარტს სოფელ ჩუმლაყთან მნიშვნელოვანი შეტაკება მოხდა. აქ ოთხი ათასი აჯანყებული კახელი იბრძოდა. სწორედ ჩუმლაყთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ ორბელიანი. „ჩუმლაყში რომ ომი მოხდა, იქ შეაკლა თავი მამაჩემს ერთი მეომრის ქართველისათვის“ — ჰყვება ალექსანდრე ორბელიანი თავის „მოგონებაში“.* მართლაც, ვახტანგ ორბელიანი ქართლის იმ თავადთა შორის იყო, რომლებიც რუსეთის მთავრობას უჭერდნენ მხარს (თავადთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი აჯანყებულთა მხარეზე იყოძ. მეტად საინტერესოა ვახტანგ ორბელიანის თანმხლები მსახურის ბერელას მონათხრობი. ჩუმლაყის ბრძოლის წინ ვახტანგს თავისთან მიუხმია მსახური და ჩურჩულით უთქვამს: „ხომ ხედავ ამ რუსებს ჩვენ, თავადები, როგორ შემწეობას ვაძლევთ?.. ჩვენ, თავადები, ერმანეთს ველარას ვენდობით... ჩვენს ცუდკაცობას ჩემი გული ველარ ითმენს. ხვალაც... ჩვენი კახელების სისხლის დაღვრა ვნახო და იმათი დამარცხება მივულოცო რუსებს სიცილითა“. ამ სიტყვებით ჩანს, რომ ვახტანგ ორბელიანი თითქოს შეწუხებულია იმ საქმით, რასაც იგი, როგორც ჩანს, იძულებით აკეთებს. ერთადერთი, რასაც იგი აკეთებს, ესაა გადაწყვეტილება „თავი შეაკლას ვისმე“. „გადამიწყვეტია... ხვალ თავს შევაკლავ ვისმე“. თავადი ბერელას სთხოვს წერილი გადასცეს თეკლა ბატონიშვილს.

მეორე დღეს ვახტანგ ორბელიანმა რუსული ორდენი დაიკიდა და ჯარს წაუძღვა კახელების წინააღმდეგ. ბრძოლაში მაშველი რუსული ჯარიც ჩაება და კახელი მოჯანყეები დამარცხდნენ. კახელები სხვადასხვა მხარეს გაფანტულან. რუსის ჯარისკაცები დაედევნენ გაქცეულებს. ბერელას გადმოცემით, ერთი კახელი ჯარისკაცი ციხესიმაგრისკენ მიეშურებოდა ქვეითად. მას რამდენიმე ცხენოსანი გადაუდგა და იარაღი სთხოვეს. ეს კახელი, როგორც შემდგომ გარკვეულა, კარგი ვაჟკაცი და საუცხოო მონადირე ყოფილა. იგი მიჰბრუნებია დამხვდურებს და უთქვამს: ხელი აიღეთ ჩემზე, თორემ იარაღის მაგიერ ჩემი თოფის ტყვიას მოგცემთო. ისინი უმალ ჩამოეცალნენ. ეს ყოველივე დაუნახავს ვახტანგ ორბელიანს და ცხენი კახელთან მიუჭენებია და გაჯავრებით უთქვამს: ახლავე მომეცი შენი თოფი, თორემ მოგკლავო. კახელს მოუხედავს და ხვეწნით უთქვამს: კარგს ვისმე გევხარ, ღმერთი გადღეგრძელებს, ხელი აიღეთ ჩემზე, ჩემს თოფს ვერვის ვერ მივცემო. ვახტანგმა არ შეისმინა თხოვნა და ცხენი ზედ მიაგდო კახელ მოლაშქრეზე: „ახლავე მომე ეგ თოფი“... და შეუგინებია. ბერელა ჰყვება, რომ გინება მეც გავიგონეო. კახელი მობრუნებულა და... რახან აღარ იშლი, აჰა ესეც თოფიო. ვახტანგ ორბელიანი განგმირული უსულოდ გადმოვარდა ცხენიდან. ამ დროს ასლან ყაფლანიშვილი (გიორგი XII-ის ქვისლი და ეშიკაღაბაშიძ მივარდნილა ცხენით კახელს. ამ უკანასკნელმა იმასაც ესროლა. ასლანი ცხენიდან გადავარდნილა, მაგრამ ჭრილობა უმნიშვნელო ყოფილა. ამ კაცს რუსის სალდათები დახვედრიან. ორი სალდათი ხმლით მოუკლავს, მესამეს კი ველარ გამკლავებია.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ ორბელიანმა, მიუხედავად მეუღლის — თეკლა ბატონიშვილის კატეგორიული რჩევისა და მოთხოვნისა — მიმხრობოდა კახეთის აჯანყებულებს (ე.ი. საკუთარ ხალხსძ, საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა — თავისი სიცოცხლე რუსის ინტერესებს ანაცვალა. საგულისხმოა ვახტანგის წერილი თეკლასადმი: „ახლა ამის მეტი მე წადილი არა მაქვს რა, რომ ეგება თქვენ და თქვენი შვილები უვნებელნი მაინც დარჩეთ და რუსებმაც კარგად ყური გიგდონო და მეც ჩემი განზრახვა შევასრულო. რუსების უეჭველობისათვის და მითამ იმათის ერთგულობისათვის ხვალ ძლიერ ომის ცეცხლში შევალ, ეგება მომკლან, ანუ როგორმე თავი შევაკლა ვისმე... რა ვქნა. ჩემს გულს რუსების თავზე წამოჯდომა ველარ აუტანია.“* ვახტანგ ორბელიანმა კარგად იცოდა, რომ იგი ბრძოლაში დაიღუპებოდა. მეუღლესაც ამ წერილით ემშვიდობება: „საუკუნოდ განშორებული შენი ვახტანგ ორბელიანი“ — ასე დაამთავრა წერილი თავისი ქვეყნისა და ხალხის ღალატით შეძრწუნებულმა (ასე უნდა ვიფიქროთძ ერეკლე მეფის სიძემ.

ვახტანგ ორბელიანის დები სხვა რწმენისანი არიან. ეკატერინე და გუქა ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ. ეკატერინე, როგორც ზემოთაც ითქვა, საგარეჯოს მოურავის გიორგი ჩოლოყაშვილის მეუღლე იყო; გუქა — კახელი აზნაურის გორჯასპ ნათალიშვილისა. ეს უკანასკნელი ფარეშთუხუცესი იყო. მან ირანელებთან ბრძოლაში ისახელა თავი. 1795 წელს სოღანლუღში მდგომმა მეფემ, გორჯასპი თორმეტი მხედრით მტრის დასაზვერად გაგზავნა. იალღუჯის მთასთან ირანელთა მეწინავე რაზმს შეხვდნენ. ქართველებმა მამაცურად იბრძოლეს.


ვახტანგ ორბელიანი


ალექსანდრე ორბელიანი

---

* ალ. ორბელიანი, მოგონება, გვ. 7.
** იქვე.

* იქვე, გვ. 13.
** იქვე
*** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 922-923.

* ალ. ორბელიანი, მოგონება, გვ. 15-16.

* ალ. ორბელიანი, მოგონება, გვ. 23.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 200.

(გაგრძელება იქნება)

გლობუსი

*როდესაც ქვეყნის მოსახლეობას თავის გამოკვებვის სერიოზული პრობლემა აქვს, როდესაც დღე არ გაივლის გულის შემაღონებელი სიურპრიზების გარეშე, ხელისუფლება რომ უხვად აწოდებს ხალხს, როდესაც პურით, ხორცით, რძის პროდუქტებით დაწყებული, კომუნალური გადასახადებითა და საწვავზე ფასების ასმაგი მატებით გულს გვიხეთქავს პროზაული ყოველდღიურობა, როდესაც ხელისუფალთა მლიქვნელობით გაჟღენთილი ტელეკომპანიები ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ მაყურებლებზე, როდესაც მეტიჩარა ტელეჟურნალისტები დაბეჯითებით ცდილობენ შავი ცხოვრების თეთრად მოჩვენებას ვიღაც ნანუკების, იების, ნანკების, სხვათა უხამსი შოუებით, როდესაც ნაციონალთა გაგონებაზე საზოგადოებას გულყრა ეწყება, როდესაც ამავე საზოგადოების მოსარჯულებლად ხელისუფლება თავის ამერიკელ პარტნიორებთან ერთად წარბშეუხრელად არწმუნებენ მას, რომ ძალიან უყვარს სააკაშვილი და მისი გუნდი, ძნელია იფიქრო ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორებიცაა კონფედერაცია, ერთიანი კავკასიური სახლი, კონსტიტუცია და სხვა. ხელისუფლებამ იცის რა დროს თქვას ამ თემების შესახებ. პრობლემებით დაოსებული ხალხის ყურადღება ლუკმაპურის შოვნისაკენაა მიმართული და არა იმ თემებისკენ, რომლებიც ხვალ გაცილებით მეტ აქტუალობას შეიძენენ, ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს წინა პლანზე წამოწევენ. ერის სიჩუმე აღნიშნული თემებისადმი ცუდთანაც კი შეგუების მომასწავებელია, მის გამოსაფხიზლებლად არც ის იწუხებს თავს, ვისაც ეს საქმე ევალება. ისიც ღრმა ოპოზიციურ ძილშია და როდესაც გამოიღვიძებს, თუკი ეს მოხდა, გვიან იქნება.*

# არასახარბიელო პერსპექტივა

საქართველო განსხვავებული რწმენის ადამიანთა სავანეა. თვით ქართველთა შორის არიან ისეთნიც, ვისაც სხვისი სარწმუნოება თავისად გაუხდიათ, თუმცა ამით სამშობლოს სიყვარულისთვის ჩრდილი არ მიუყენებიათ. რწმენა თითოეული ადამიანის პირადი არჩევანია. თბილისში აჭარის წარმომადგენლად მუშაობის პერიოდში არაერთხელ წავწყდომივარ რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებულ პრობლემებს, აჭარის მუსლიმანთა სატკივარს. მათთვის ხუმრობით ნათქვამი სიტყვა „თათარი“ მძიმედ ხვდებოდა ყურს. ასლან აბაშიძის მუსლიმანობაზე ხომ ლეგენდები დადიოდა. თბილისელებს ახასიათებთ მსგავსი ქედმაღლობა რეგიონებში მცხოვრებთა მიმართ. სიტყვა „თათარიც“ იშვიათი არ იყო მათთვის. ყველაფერთან ერთად, ასეთმა გამონათქვამებმაც „დიდი წვლილი“ შეიტანეს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერების ჩვენგან დაშორების საქმეში. გაივლის დრო და ისტორიას ჩაბარდება ზოგიერთთა მოუზომავი ლექსიკა, გულისტკივილს რომ იწვევდა სასიქადულო პოეტსა და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაშში.

**აჭარელი მუსლიმანები უკმაყოფილებას გამოხატავენ ისტორიის გაყალბების გამო. მუსლიმანობა ძალით არ მიგვიღია, ჩვენ ის გულით მივიღეთ და შევიყვარეთო, ამბობენ ისინი. მრავლადაა მეჩეთები და მედრესეები აჭარის ავტონომიაში, თუმცა ეს არ არის გასაკვირი. მეზობელ თურქეთში მრავალსაუკუნოვან ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს მეჩეთებს არა მარტო აქ შეხვდებით, არამედ შუაგულ ევროპაშიც – პარიზში, გერმანიის ქალაქებში, ლონდონში, სხვაგან.**

ისლამთან დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ზოგან ადგილი აქვს მის მიმართ ტოლერანტობას, ზოგან – საწინააღმდეგო მოქმედებას. ისლამის წინააღმდეგ აგრესიული დამოკიდებულების აგორებას ხელი შეუწყო ნიუ-იორკის ტყუპ ცათამბჯენზე ტერორისტულმა თავდასხმამ. ამერიკაში ჯერაც არ ჩამცხრალა აფეთქებული ცათამბჯენების სიახლოვეს 13-სართულიანი მუსლიმანური ცენტრის მშენებლობით გამოწვეული აჟიოტაჟი, გამოკითხულ ამერიკელთა 25 პროცენტი თვლის, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა მუსლიმანთა ამერიკაზე თავდასხმა. მათ გადარწმუნებას არც პრეზიდენტ ობამას სიტყვები შველის, რომ ამერიკას არა ისლამი, არამედ ტერორიზმი დაესხა თავს. ანდა როგორ გადაარწმუნებს ობამა თანამემამულეებს, როდესაც 18 პროცენტი მას მუსლიმანად თვლის. **ამერიკელები სიტყვიდან საქმეზეც გადავიდნენ – წაბილწეს ერთ-ერთი მეჩეთი ნიუ-იორკში. კალიფორნიაში მეჩეთს საღებავით დააწერეს – „ტერორისტთა სალოცავს**



**ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გაიღვიძე ამერიკავ, მტერი უკვე აქ არის“.**

რთული ვითარებაა ევროპაში. მთელ რიგ ქვეყნებში კანონმდებლობით აიკრძალა ქალთა მუსლიმანური სამოსელი. ევროპელი პოლიტიკოსები, მათ შორის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სინანულით აცხადებს, რომ არ გამართლდა გერმანელთა ვარაუდი, უცხოელთა, მათ შორის მუსლიმანთა, გერმანულ ცხოვრებაში ინტეგრაციის შესახებ. თავის დროზე „გესტარბაიტერად“ ჩაყვანილი თურქი, გამორჩეულად ცხოვრობს. გერმანიის ქალაქებში უცხო არაა თურქული უბნები, თურქული კვების ობიექტებით, გასართობი ცენტრებით, მეჩეთებით და სხვა.

რაც მეტია კულტურათა დიალოგზე ლაპარაკი, მეტია დაპირისპირებაც, რასაც თავისთავად ხელს უწყობს პოლიტიკაში გადაზრდილი რელიგია, დაკარგულ პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის აღორძინებაზე ლაპარაკი. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია თურქული წარმოშობის რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია ჯამაათი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკაში მცხოვრები ფეთჰულა გიულენი. ამ ორგანიზაციას მსხვილი კაპიტალი – 25 მილიარდი დოლარი აქვს. მას ყოველწლიურად მილიარდზე მეტი დოლარი შესდის შეწირულობათა სახით. ორგანიზაციის დაფინანსებით პოსტსაბჭოთა სივრცეში მრავალი მედრესეა გახსნილი. ორგანიზაციასა და მის ლიდერს მჭიდრო კავშირი აქვს თურქეთის მმართველ სამართლიანობისა და განვითარების პარტიასა და მის ლიდერ რეჯებ ტაიპ ედროგანთან. გიულენი კონსულტაციასაც უწევდა ერდოგანს, როდესაც ის ოპოზიციაში იყო. ქემალისტები მწვავედ აკრიტიკებენ გიულენს და თვლიან, რომ მისი იდეები ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფოს არსს. მიუხედავად ამისა, გიულენმა შეძლო საკუთარი მიმდევრების ჩათესვა თურქეთის სახელმწიფო ორგანოებში. გიულენი იყო პირველი, ვინც გამოეხმაურა ბერლინის კედლის დაშლას. ის უმალ გაჩნდა სტამბოლის მეჩეთ სულეიმანიაში და მრევლს მოუწოდა მომზადებული შეხვედროდა საბჭოეთის გაქრობას, ეფიქრა მომავალი დამოუკიდებელი ქვეყნების მისწრაფებაზე. **გიულენი ხშირად ლაპარაკობს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში პროპაგანდისტული მუშაობის გაშლაზე. „რა საჭიროა არმია, როდესაც გსურს განახორციელო ახალი დაპყრობა. მთავარია ნოხის გაშლა სულის მხსნელი ლოცვისთვის. „მისი აზრით“ მომავალ გარდაქმნაში გამოკვეთილად გაიჟღერებს ისლამის ხმა“.**

ამერიკელი მკვლევარი შარონ კრესპინი თვლის, რომ გიულენის ჯამაათი ილვწის არა იმისთვის, რომ გავლენა იქონიოს ხელისუფლებაზე, არამედ მართოს სახელმწიფო.

**თურქეთში 350 კაცზე ერთი მეჩეთი მოდის, მაშინ, როდესაც 60 ათას პაციენტზე ერთი საავადმყოფო. ამ ქვეყანაში 90 000 იმამია, რაც აჭარბებს მასწავლებლებისა და ექიმების რაოდენობას.**

აქტიურობს მეორე, ადნან ოქტარის ორგანიზაციაც, რომელიც პროპაგანდას უწევს თურქულ-ისლამური კავშირის კონცეფციას. მისი მიხედვით ბალკანეთის, კავკასიის, რუსეთის, შუა აზიის მუსლიმანები უნდა გაერთიანდნენ თურქულ-ისლამურ კავშირში. გაერთიანებას თურქეთი უნდა ლიდერობდეს. ოქტარი შეგვახსენებს, რომ თურქული სამყარო გადაჭიმულია ადრიატიკიდან ჩინეთამდე. აქ მცხოვრებლებს აქვთ ეთნიკური ფესვები, მაგრამ ისტორიულად შედიოდნენ თურქულ-ისლამურ კავშირში. ოქტარის აზრით, ოსმალეთი პოლიტიკურად იქნა ლიკვიდირებული, თუმცა მისი ადგილი ვერც რუსეთმა და ვერც ევროპამ ვერ დაიკავა.

ოქტარი კავკასიას თურქეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევს. „კავკასიელები, რომლებიც რუსეთის უღელს გამოექცნენ, თავი ოსმალეთს შეაფარეს. ყველა ისინი მუსლიმანები არიან“, – ამბობს ოქტარი. „თუ თურქეთი სათანადოდ შეაფასებს ისტორიულ მემკვიდრეობას, წინ გაიხედავს და განავითარებს თურქულ-ისლამურ იდეას, აუცილებლად მიაღწევს წარმატებას“ – აცხადებს ის. **ოქტარის აზრით, თუ თურქეთი დაეუფლება რეგიონს, რომელიც ოსმალურად ითვლებოდა, თურქეთი აუცილებლად გადაიქცევა მოწინავე ქვეყნად. თურქულ-ისლამური კავშირი საფუძვლიანად შეარყევს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის გავლენას და გზას გაუხსნის თურქულ სამყაროს მსოფლიოს ლიდერობისაკენ. „მთელი თურქული სამყარო ბალკანეთიდან აღმოსავლეთ ყაზახეთამდე სულმოუთქმელად ელის თურქეთის წინამძღოლობით თურქული კავშირის შექმნას. ევროკავშირის მსგავსად თურქულ კავშირში შევლენ ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, კავკასია, შუა აზია, რაც ყველა აღნიშნული ქვეყნისთვის დიდი მიღწევა იქნება“,** – აცხადებს ოქტარი.

ფეთჰულა გიულენი და ადნან ოქტარი აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისა და იორდანიის ისლამური კვლევის ცენტრის მიერ შედგენილ სიაში – თანამედროვეობის სახელოვანი 500 მუსლიმანი – პირველ ათეულში შედიან.

**ძნელია იმის ვარაუდი, თუ როდის ახდება გიულენისა და ოქტარის ოცნება, მაგრამ საფიქრალი ჩნდება. ამასთანავე, ჩნდება ეჭვი იმისა, რომ მძიმე სოციალური ყოფით დაბეჩავებული საზოგადოება ვერ შეამჩნევს მალულად, ეშმაკურად შეპარებულ კავკასიის კონფედერაციის ან კავკასიური სახლის იდეას, რაც ესოდენ ემთხვევა გიულენ-ოქტარის გეგმას და სამარადისოდ უარს იტყვის საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა ნანატრ დამოუკიდებლობაზე.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

## ინფორმაცია

### აფხაზეთიდან დევნილი 40 წლის ნანა ფიფია თავის დაწვას შეეცადა

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეზოში, აფხაზეთიდან დევნილი 40 წლის ნანა ფიფია თავის დაწვას შეეცადა.**

**დაშავებული დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს. მას სავარაუდოდ სხეულის 30%-ზე მეტი აქვს დამწვარი და სხეულის მესამე ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული.**

**ფიფიამ ეზოში ნავთი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. იგი ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული და შოკურ მდგომარეობაში იმყოფება.**

**როგორც დამწვრობის ცენტრის ექიმები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.**

### სოხუმში აფეთქება მოხდა

**სოხუმში გუშინ, გამთენიისას აფეთქება მოხდა.**

**ამის შესახებ „აპსნიპრესი“ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რამინ გაბლიაზე დაყრდნობით იუწყება.**

**მისი თქმით, აფეთქება სოხუმში, ინალ-იფას ქუჩის №16-ში მდებარე სახლის ეზოში დილის 04:20 საათზე ავტომობილზე მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობით ამოქმედდა.**

**სეპარატისტების ე.წ. სამართალდამცველების ინფორმაციით, ავტომანქანა 1987 წელს დაბადებულ კირა ზეკირ-ოღლის ეკუთვნის.**

**აფეთქების შედეგად, ავტომობილი დაზიანდა. ფაქტზე აფხაზმა ძალოვნებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. გამოძიებას სოხუმის დე ფაქტო შს განყოფილება აწარმოებს.**

### სიყალბის ფაქტზე დააკავეს შპს „ბუტას“ დამფუძნებელი

**პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს შპს „ბუტას“ დამფუძნებელი და დირექტორი თეიმურაზ გოგუაძე. გამოძიებით დადგენილია, რომ თ. გოგუაძემ რამდენიმე წლის მანძილზე სხვადასხვა ფიზიკური პირებისაგან ფოლადის მილები შეიძინა და შემდეგ შპს „თბილქალაქგანათებას“ მიჰყიდა.**

**ექვმიტანილმა უსაბუთოდ შეძენილი მასალების ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით ყალბად დაამზადა და გამოიყენა 250 000 ლარზე მეტი ღირებულების პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი სასაქონლო ზედნადებები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.**

### შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურა

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოპერაციების დროს ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურა.**

**სულ განადგურებულია 4 000 აბი სუბოტექსი, 3 კგ-ზე მეტი ჰეროინი, 50 კგ მარიხუანა და 30 000 აბზე მეტი კოდეინის შემცველი სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებები.**

**ნარკოტიკების განადგურება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც საექსპერტო-კრიმინალისტიკის სამმართველოს, მთავარი პროკურატურის და სახელმწიფო-სამედიცინო რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# „სულის ენა“ და „სასტუმრო“ საქართველოს ბედისწერა



**„გაივლის დრო და ბეჩავი ქართველი შეურიგდება გოგებაშვილის დაკარგვასაც... მაგრამ, ვაი, ამისთანა შერიგებას! გული ვერ ითმენს, რომ მწარე განწირულობით არ ვიკითხოთ! ნეტავ საით მივყავართ შავ ბედს? რას გვიქადის შავბნელი მომავალი?!“ — ეს შეკითხვა 1912 წელს, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების დღეს დასვა ქუთაისის მოურავმა ილ. ჩიქოვანმა.**

მართლაც, გაიარა დრომ და „ბეჩავი ქართველი“ არა მხოლოდ გოგებაშვილის დაკარგვას, ბევრ რამეს შეურიგდა.

და დღეს, დიდი იაკობის დაბადებიდან 170-ე წლისთავზე ურიგდება ქართული ენის მეასეხარისხოვან ენად გადაქცევას. ხელისუფლება ქართულ ენას ძეგლს უდგამს, სინამდვილეში კი ეს ენა ჩვენთან დამცრობილ-დაკნინებულია. თბილისი უცხოურენოვანი წარწერებით აჭრელდა, ამბობენ, რომ მალე სკოლებშიც მშობლიური ენის საათები შემცირდება... ე. წ. ინგლისურენოვან პედაგოგთა „დესანტის“ გადმოსხმას ეს ნაბიჯი ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა. ტურიზმისთვის გამწესებულ ქვეყნის ხელისუფლებას მშობლიური ენა უკვე ეზედმეტება და ნელ-ნელა ინგლისურ ენას უფენს ფიანდაზებს. **ხვალ უკვე სიონის ტაძრის წინ ბუდას ხუთმეტრიან ქანდაკებასაც წამოგვიჭიმავენ და პოეტის ძველი ლექსიც ახლებურად გაცოცხლდება: „თოვდა და თბილისს ეხურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“...**

ეს დუმილი საბედისწეროდ გამეფებულა დღევანდელ საქართველოში. მიწათმოქმედების, პურისა და მევენახეობის უძველესი ქვეყანა უნდათ, რომ ტურიზმის ცენტრად გადააქციონ... ხუთი მილიონი ტურისტი მოგვაწყდებაო, რუსეთიდან, თურქეთიდან, ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არაბული ქვეყნებიდან... ქართულ ღვინოს მთლიანად დალევენ და კახეთიც აშენდებაო! იმ ხუთ მილიონ ტურისტს კი აქ დარჩენილმა და საშოვარზე უცხოეთში არ გაქცეულმა სამმა მილიონმა ქართველმა ინგლისურ ენაზე უნდა ელაპარაკოს... ქართველები სასტუმროებში იმუშავებენ მიმტანებად, ოფიციანტებად, მეკარეებად... **მათ დაასაქმებს ტურიზმის ბრწყინვალება და ელვარება! და... საკუთარ ქვეყანაში, სხვის მოსამსახურედ ქცეული ქართველი კაცი ბედნიერად იცხოვრებს!**

ხელისუფლებას ხშირად უყვარს კალიფორნიის ხსენება და მას ეპაექრება, რომ საქართველო თურმე კალიფორნიასავით ზამთარ-ზაფხულს კურორტებით მიმზიდველი და თვალწარმტაცი უნდა გახდეს... მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ **კალიფორნიის შტატის ეკონომიკის უმთავრეს ზრდას სოფლის მეურნეობა — ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტებისა და ღვინის წარმოება განაპირობებს. მაგრამ დღეს ჩვენთან სოფლის მეურნეობა არავის სჭირდება, რადგან მისი განვითარება ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.** შირაქის ველისთვის ძველი დიდების დაბრუნება და პურის ბეღლად ქცევა მავანს სანუკვარ ბიზნესს ჩაუგდებს და ალჩუზე დასვამს. ამიტომაც ფართო გზა ტურიზმსა და ინგლისურ ენას — „ჩვენი ქვეყნის რეკლამას, ბრენდსა და დიდებას“. **სჯობს საქართველოს ხელი ჰქონდეს სამათხოვროდ გაწვდილი და უცხოელს ფეხქვეშ ეგებოდეს, ვიდრე მეწარმეობა და სოფლის მეურნეობა აღორძინდეს.** ჩვენ არ გვჭირდება არავისგან გამოგზავნილი ლობიო, კიტრი და პამიდორი, თავადვე მოვიყვანთ და ვიმყოფინებთ, ხელშეწყობა ცოტათი მაინც რომ არსებობდეს. ამბობენ, ჯართის მცლელს, 3-4 ლარზე რომ მუშაობს, საშემოსავლოს გადასახადს თხოვენო!

ისედაც შიმშილობის ზღვარზე მყოფი ქართველი კაცის მეტი დაკაბალება გაგიგიათ? ე. წ. სიყვარულის ქანდაკება ბათუმში 125 მილიონი ჯდება, ქუთაისში კი პარლამენტის ახალი შენობისთვის 50 მილიონის ეკონომიკაში ჩადება 100 ათას კაცს დაასაქმებდა და სულს მოითქვამდა. ანდა, ეს გაუთავებელი თბილისობა რა გახდა, როცა მშობელს შვილისთვის „დედა ენა“ ვერ შეუძენია?

ჩვენი რეკლამა, ბრენდი და დიდება განათლება და მოაზროვნე თაობა უნდა იყოს, და არა გამო-ტურ-იზმ-ებული საქართველო, რომელიც დაივიწყებს მშობლიურ ენას, ქვეყანას, რწმენას...

**დიდი იაკობი მშობლიურ მეტყველებას „სულის ენას“ უწოდებდა, სხვა ენების ცოდნას კი „მეხსიერების მონაპოვრად“ მიიჩნევდა. „დედა-ენის გამოძევება შეადგენს სასიკვდილო სენს სკოლისას... ამისთანა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩი ბუნებისთვის. სამშობლო სიმღერას ის აღტაცებაში არ მოჰყავს, სამშობლო ლექსი მას გულს არ უხალისებს...“**

**არ მინდა ვიფიქრო, რომ „იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 170-ე წელს ჩვენი „სულის ენას“ ვივიწყებთ და გლობალიზაციის საბედისწერო ქროლვას ხელგაშლილი ვეგებებით, და რომ ისევ დასაცავია ილიას სანუკვარი მამულიც, ენაც, სარწმუნოებაც!**

**თამარ შაიშმელაშვილი**

წუთისოფელი

*„რამდენი ჩვენგან წასული კაცის, ვერ დავივიწყებთ ღვაწლსა და ამაგს“... აკი არც ვივიწყებთ: ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრმა და ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ სმეა-ის სააქტო დარბაზში გამართეს საიუბილეო საღამო, მიძღვნილი თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსისადმი ლევან მუსხელიშვილისადმი. 110 წელი გავიდა ამ შესანიშნავი სწავლულისა და პიროვნების, 42 წლის ასაკში ნაადრევად ცხოვრებიდან წასული კაცის დაბადებიდან...*

*შესავალი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ შეკრებას წარუძღვა ე. თაყაიშვილის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ნანა ხაზარაძე. მოხსენება „ლევან მუსხელიშვილი — მეცნიერი და მოქალაქე“ წაიკითხა პროფესორმა გივი ჯამბურიამ. სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, პროფესორი ნოდარ ლომოური, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯუმბერ კოპალიანი.*

*იუბილარზე მოსმენილით ძლიერი შთაბეჭდილებებით სავსე შევხვდი აკადემიკოს დავით ლევანის ძე მუსხელიშვილს, ისტორიული გეოგრაფიის დარგის ჩვენს გამოჩენილ სპეციალისტს.*

# დიდი ივანეს უსაყვარლესი მოწაფე

**— ბატონო დავით, მოსაწვევში ლევან მუსხელიშვილი მოხსენიებულია თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსად. გივი ჯამბურიას საგულისყურო მოხსენებიდან როგორც გამოჩნდა, მამათქვენის ისტორიკოსობა ერთობ ფართო დიაპაზონისა ყოფილა. მოდით, თქვენი თვალთახედვითაც გადავხედოთ ამ დიაპაზონს...**

— ლევან მუსხელიშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა, თანაც სიცოცხლის ბოლო 12 წელი არსებითად ავადმყოფობაში გაატარა (ჭლექით იყო დაავადებული). კვლევისათვის დროც აკლდა და ძალ-ღონეც; მიუხედავად ამისა, მდიდრული მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. ის მრავალმხრივი ინტერესის მკვლევარი გახლდათ და თავის შრომებით საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგს ეხება: საკუთრივ ისტორიას (კერძოდ, ძველი ქართველი საზოგადოების სოციალურ პრობლემებს), საქართველოს არქეოლოგიას, ეპიგრაფიკას, წყაროთმცოდნეობას... მისი კვლევა ყველგან ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს.



**— ასეთი მშობელი 13 წლის მოზარდმა დაკარგეთ. ბავშვობიდან ხომ არ გამოიხმობდით რამდენიმე მოგონებას...**

— 4-5 წლის ასაკში ბუნდოვნად მახსოვს აბასთუმანი, სადაც უკვე მკურნალობდა ტუბერკულოზით დაავადებული...

შვილები, ჩემი უფროსი ძმა ვახტანგი (ის ახლა სამთო ინჟინერია, პროფესორი, სტუ-ის სამთო მექანიკის კათედრის გამგე) და მე მამას ძალიან ვუყვარდით, თუმცა ორივე შვილს მკაცრად გვზრდიდა. მე ისტორიკოსად მამზადებდა, ხუცურ კითხვას მასწავლიდა და სისტემატურად მამოწმებდა.

ისიც მახსოვს, რომ დღისით საქართველოს მუზეუმში ყოფნის მერე, სადაც მუშაობდა, შინ დაბრუნებული ღამის 2-3 საათამდე იჯდა საწერ მაგიდასთან. ჩვენი ბინის პირდაპირ შალვა ნუცუბიძე ცხოვრობდა, შუქს ხედავდა გვიანამდე და დიდედაჩემს დაურეკა — გადაეცი ლენკოს (მამას შინაურულად ასე ეძახდნენ), თავს გაუფრთხილდესო...

ბავშვობიდანვე მახსოვს, თუ როგორ დადიოდა ივანე ჯავახიშვილი ჩვენს ოჯახში, როგორც პაპაჩემის, ვახტანგ მუსხელიშვილის კარგი ნაცნობი.

**— დიდი ივანეს ხსენებაზე — საიუბილეო სხდომაზე ითქვა, რომ მამათქვენი მისი უსაყვარლესი მოწაფე ყოფილა...**

— გერმანიაში განათლებამიღებული ლევან მუსხელიშვილი თბილისში რომ დაბრუნდა, უნივერსიტეტში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად, ისტორიის ფაკულტეტზე (შეიძლება მაშინ ისტორიული ფილოლოგიისა ერქვა). სხვათა შორის, პაპაჩემიც იმ უნივერსიტეტის ლექტორი გახლდათ...

მამას სწორედ სტუდენტობისას მიუპყრია ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული ყურადღება და შემდგომ მართლაც გამხდარა უსაყვარლესი მოწაფე. მაგონდება, როგორ სთქვა 1990-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის იუბილეზე გამოსულმა ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა — მგონი, მამაჩემს შვილებზე უფრო ლევან მუსხელიშვილი უყვარდაო...

აქვე დავსძენ, რომ ჟურნალ „მნათობის“ სამ ნომერში გაგრძელებებით ქვეყნდებოდა ივანე ჯავახიშვილისა და ლევან მუსხელიშვილის მიმოწერა.

**— ბატონო დავით, ეტყობა, პაპათქვენი ვახტანგიც გამორჩეული ბრძანებულა...**

— დიახ, თავის დროზე ერთობ ცნობილი პიროვნება იყო, სოციალ-ფედერალისტი, სახელგანთქმული ოფთალმოლოგი. თავის დროზე თბილისში პოპულარული თვალის კლინიკა შეროზიას ქუჩაზე იმისი დაარსებულია. 1920-იან წლებში დააპატიმრეს — „რატომ კარგი აგიგიაო“... 4 ვაჟის მამა გახლდათ, ოთხივეს მისცა განათლება გერმანიასა და საფრანგეთში. ჩემი სამი ბიძიდან ორი გარდაიცვალა, სულ ახალგაზრდა, ერთი თბილისში, მეორე აფრიკაში.

**— „სადაურსა სად წაიყვანო“... თქვენი მესამე ბიძა?**

— ეს იყო მიშელ მუსხელი, პაპაჩემის მესამე ვაჟი, ევროპული მასშტაბის მოღვაწე. თავად განსაჯეთ: ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი; ევროპის ფედერალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრი; ევროპული ფორმაციის ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი; სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ქვეყნების კვლევის ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, რომელსაც სტრასბურგში ახლაც მუსხელის ცენტრი ჰქვია. ჩინებული სპორტსმენი-მთამსვლელი ალპებში დაიღუპა 1964-ში; თუ გნებავთ, სხვა დროს ცალკე გავაცნოთ, კიდევ უფრო ვრცლად, თქვენი გაზეთის მკითხველს — ღმერთმანი, ღირსია.

**— სიამოვნებით, ბატონო დავით... მახსოვს, დიდი ომის წლებში პენიცილინი რომ გამოიგონეს, რა ამბავი ატყდა. მამათქვენს რომ მოესწრებოდა, ეგებ კიდევ დიდხანს ეცოცხლა...**

— ვინ იცის, ეგებ მართლაც...

**თამაზ ებანოიძე**

სამეგრელოს მხარე

# ვინ არის ახალაიების კრიმინალი ბიძა?

## „ქართული პარტია“ და „დაიცავი საქართველო“ სამეგრელოში დამეგობრდნენ...

**ახლადშექმნილმა „ქართულმა პარტიამ“ პირველი რეგიონალური შეხვედრა ზუგდიდში გამართა. „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის კახა მიქაიას ოფისში პარტიის ლიდერები სოზარ სუბარი და კოკა გუნცაძე ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი კახა მიქაიას ხელმძღვანელობით, რომელიც იმუშავებს „ქართული პარტიის“ სამეგრელოს ორგანიზაციის ჩამოყალიბება-განმტკიცებაზე.**

— ჩვენ პირველი გასვლა სპეციალურად დავგეგმეთ ზუგდიდში და გადავწყვიტეთ პარტიის პირველი სოლიდური ორგანიზაცია აქ ჩამოვაყალიბოთ. ჩვენ ზუგდიდში გვყავს უშიშარი პიროვნება კახა მიქაია, რომელიც, მიუხედავად სამეგრელოში არსებული მძიმე ვითარებისა, აქტიურად იბრძვის იმ შიშის დასაძლევად, რომელმაც მოიცვა სამეგრელოს ერთ დროს უშიშარი მოსახლეობა — მიიჩნია სოზარ სუბარმა.

კახა მიქაიას განმარტებით, ნაციონალების მიერ ჩანერგილი შიში მართლაც ძალიან ძლიერია, იმდენად ძლიერი, რომ დაშინებული მოსახლეობა ხმის ამოღებას ვერ ბედავს, ჩემთან შეხვედრის და დალაპარაკებისაც კი ეშინიათ, მაგრამ მე ვიცი, რომ ჩვენს ხალხში ეს შიში მალე გაიფანტება და შედეგიც გვექნება — ამბობს კახა მიქაია და ჟურნალისტებისთვის სენსაციურ განცხადებას აკეთებს: **მე მაქვს გადამოწმებული ინფორმაცია, რომ დიდძალი თანხის გადახდის, ე. წ. გარიგების საფასურად ციხიდან გამოუშვეს კრიმინალი, ბაჩო და დათა ახალაიების ბიძა, რომლის სახელსაც საგანგებოდ არ ვამბობ და რომელიც ამჟამად იმყოფება ნორიოს პოლიგონზე, — მას დავალებული აქვს სპეცბანდის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რადიკალურ ოპოზიციას დაუპირისპირდება!**

ფრიად მრავლისმეტყველი ინფორმაციაა.

* * *

ზუგდიდის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ „ქართული პარტიის“, მიზანი საქართველოში ნგრევისა და დაშლის პროცესის შეჩერებაა. პარტიის ყრილობა თბილისში 22 ნოემბერს გაიმართება.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

განსჯა

# SMS-კონსტიტუცია, „გათიშული“ ოპოზიცია და ხალხის პასიურობა

(მეოთხე გვერდიდან)

იქვე საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ **„მიუხედავად ყველაფრისა, კომისიას მიაჩნია, რომ სასურველი იქნებოდა პარლამენტის უფლებამოსილებათა შემდგომი გაძლიერება. ამ თვალსაზრისით კი, მთავრობის ფორმირებასთან, განსაკუთრებით კი მისთვის უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საბიუჯეტო პრობლემებზე პარლამენტის უფლებამოსილებები უნდა გადაიხედოს“**. რით არის გამოწვეული ასეთი დრამატული სხვაობა ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნასა და ხელისუფლებისთვის გამოგზავნილ SMS-ს შორის? ან ხელისუფლებამ განზრახ დაამახინჯა SMS-ს შინაარსი, ან ვენეციის კომისიამ, რომელსაც იმედი გადაეწურა მისი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, უბრალოდ, ხელი ჩაიქნია და არც მწვადი დაწვა და არც შამფური?! ხელისუფლებისთვის „მაგიური“ SMS-ს რეალურ მნიშვნელობას ალბათ მომავალში გავიგებთ. თუნდაც თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების ეპოქაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც კონსტიტუციაა, ევროსაბჭოს მხრიდან საქართველოს ხელისუფლებასთან კონტაქტის SMS-ების დონეზე დაყვანა ბევრ კითხვებს აჩენს.

ფართო საზოგადოებისთვის არ უცნობებიათ ის, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების მომენტისთვის, ვენეციის კომისიას საბოლოო დასკვნა გამოქვეყნებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა. არადა, ვენეციის კომისიამ და აშშ-ის ადმინისტრაციამაც დაჟინებით მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას დალოდებოდა საბოლოო კომისიის საბოლოო რეკომენადციებს, რათა საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებამდე „ზედმიწევნით გაეთვალისწინებინა“ ისინი. ვენეციის კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საბოლოო დასკვნაში კი სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ **„საქართველოს ხელისუფლების თხოვნით კომისია შემოიფარგლა მხოლოდ მისთვის მიწოდებული ტექსტის ექსპერტული ანალიზით“**.

სავარაუდოდ სწორედ ამისათვის ჩავიდა სასწრაფოდ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს შტაბბინაში. სხვათა შორის, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში საგანგებოდ არის აღნიშნული **ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის მოსაზრება, რომ კონსტიტუციის საჯარო განხილვაში საზოგადოების მონაწილეობა მინიმალური იყო.** სხვათა შორის, ამას ადასტურებენ გამოკითხვებიც. ერთ-ერთის მონაცემებით, გამოკითხულთა მაქსიმუმ 2-3% პროცენტმა თუ იცის კარგად, რა ცვლილებებს მოუტანს მათ ახალი კონსტიტუცია.

ხელისუფალთა მტკიცების მიუხედავად, რომ **„ვილაცების“ რეკომენდაციები მათთვის სავალდებულო არ იყო და მათთვის დაცდას არ აპირებდნენ, ლოდინი მაინც მოუწიათ. მმართველ პარტიას სახის შენარჩუნებაში ტრადიციულად გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატები“ წამოეშველნენ, როდესაც კონსტიტუციური კანონპროექტის მესამე მოსმენით გადადება მოითხოვეს იმის მომიზეზებით, რომ საბოლოო დოკუმენტის შესწავლა ვერ მოასწრეს.** თუმცა მესამე მოსმენით მიღებულმა ტექსტმა, რომლის საბოლოოდ რედაქტირებული ვარიანტი 15 ოქტომბერს პარლამენტის სხდომაზე არც კი დარიგებულა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება უკავშირდება საპრეზიდენტო კანდიდატისთვის დაწესებულ საარჩევნო ცენზს. პირველი და მეორე მოსმენით მიღებულ კანონპროექტებში პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 15 წელი მაინც უცხოვრია საქართველოში.

დამტკიცებული საბოლოო ტექსტის თანახმად კი პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს 35 წლის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 5 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღისთვის ბოლო 3 წელი ცხოვრობს საქართველოში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხუთი წლის წინ ჩამოსულ, აქ მცხოვრებ და მოქალაქეობამიღებულ ნებისმიერ პიროვნებას თავისუფლად შეუძლია საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, კონსტიტუციაში არის ცვლილებები, რომლებიც გარკვეული დაშვებებით შეიძლება დადებითად შეფასდეს, იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუციური რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სუპერ-საპრეზიდენტო მმართველობიდან ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის უფრო დაბალანსებულ მოდელზე გადასვლა იყო. თუმცა არაერთმა ორაზროვანმა დებულებამ რეალურ ცხოვრებაში შეიძლება პოლიტიკური კოლიზიები გამოიწვიოს. მაგალითად, პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება ეკავოს პარტიული თანამდებობა, თუმცა შეეძლება პარტიის წევრად დარჩეს.

ბუნებრივია, ყველას თვალწინ წარმოუდგება „ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილით ან მის გარეშე. ან კიდევ, პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება საკუთარი ინიციატივით დანიშნოს რეფერენდუმი, თუმცა შეუძლია ამის გაკეთება პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200 ათასი ამომრჩევლის მოთხოვნის შემთხვევაში. თუ პრეზიდენტის პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, გაუჭირდება ამ „მოთხოვნის“ გაჩალიჩება?! მართალია, პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ან სესია, მაგრამ თუ მოწვევის აქტი არ გამოსცა, მოთხოვნის მიღებიდან 48 საათში პარლამენტი მაინც იკრიბება.

ახალი კონსტიტუციით, რომელიც 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, საკმაოდ მნიშვნელოვნად ძლიერდება პრემიერ-მინისტრი, რაც ვენეციის კომისიის დასკვნაშიც არის ხაზგასმული. ოპოზიცია და ექსპერტთა ნაწილი თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში დასარჩენად კეთდება. ასევე თვლის საერთაშორისო ანალიტიკოსთა ერთი ნაწილიც და ამის თაობაზე ეჭვები დასავლეთის პოლიტიკურ წრეებშიც აქვთ. სიუჟეტის „მთავარი გმირი“ კი ორიგინალობს, მის სამომავლო გეგმებზე ადგილობრივ თუ საერთაშორისო აუდიტორიას თავსატეხს უჩენს. სააკაშვილი ამას აკეთებს დაახლოებით ისე, როგორც ვლადიმირ პუტინი აკეთებდა მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, ანუ ბოლო მომენტამდე ინარჩუნებს ინტრიგას, რაც პოლიტტექნოლოგიის კუთხით სავსებით მართებული ნაბიჯია და ყველა შემთხვევაში უკანდასახევად კარების ღიად დატოვებას და „სახის შენარჩუნებას“ გულისხმობს.

შეურიგებელი ოპოზიციის და საპროტესტოდ განწყობილი საზოგადოების უმეტესობა კი მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ და სააკაშვილის ინტერესებზე მორგებულ ახალ კონსტიტუციას ამ სახით ამოქმედება არ უწერია. ისინი იმედოვნებენ, რომ უფრო ადრე თუ არა, 2013 წელს მაინც მოახერხებენ „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას. თუმცა რამდენად საფუძვლიანია ეს იმედები?

ერთ-ერთმა ექსპერტმა დღევანდელი ოპოზიცია მოსწრებულად შეადარა დენის წყაროდან გათიშულ მოწყობილობას. ოპოზიციის მტკიცებით, და ამაში ძნელია შეედავო, მათთვის „დენის წყარო“ ხალხია. საზოგადოების უმრავლესობის სრული და შეიძლება ითქვას დანაშაულებრივი პასიურობა ქვეყნის მთავარი კანონის — კონსტიტუციის რეფორმასთან მიმართებაში იმითაც იყო გამოწვეული, რომ ოპოზიციამ არ ჩათვალა რატომღაც საჭიროდ ხალხის მობილიზება ამ თემის ირგვლივ. არადა, ბედის ირონიით, ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფორმა სწორედ ოპოზიციის მოთხოვნის საპასუხოდ წამოიწყო. ოპოზიციამ კი თავის უმოქმედობით ან არაკვალიფიციური მოქმედებით ნებით თუ უნებლიეთ „ნაციონალურ მოძრაობას“ შესანიშნავი „კოზირი“ ჩაუდო ხელში. ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი უფრო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე იყო ორიენტირებული. თუმცა ხელისუფლებამ ოპოზიციას 130,000 ხელმოწერით გამაგრებული პეტიცია, რომ იტყვიან, თავზე გადაახია. ეს ნაბიჯი არც იყო გასაკვირი. შედარებით სუფთად მოგებული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ უნაგირზე კიდევ უფრო მყარად ზის და მეტი საქმე არა აქვს რომ ოპოზიციის პირობებში შეცვალოს საარჩევნო გარემო. მომავალი არჩევნებისათვის საარჩევნო გარემო, რა თქმა უნდა, შეიცვლება. ამას აშშ და ევროკავშირი უჭერენ მხარს. თუმცა არც მათ ინტერესებშია, რომ არჩევნებმა ხელისუფლებაში ის პოლიტიკური ძალები მოიყვანონ, რომელთა ორიენტირები დასავლეთისკენ არ მიდის. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ნაციონალური მოძრაობით და სააკაშვილით ხელისუფლებაში, ფაქტიურად დასავლეთის ერთ-ერთი ბოლო საყრდენია.

ეს ფაქტორი კი ყოველთვის იქონიებს გავლენას არჩევნებზე, ვიდრე ქვეყანაში რეალური, პროდასავლური და ხალხის მაღალი ნდობის მქონე ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არ გაჩნდება.

ქართული მედია გადატვირთულია ექსპერტთა შეფასებებით, რომელთა ლაიტმოტივი ის არის, რომ ხელისუფლების სწრაფად შეცვლის არანაირი შანსი ამ ეტაპზე ოპოზიციას არა აქვს. უნდა ითქვას რომ ეს შეფასებები სიმართლესთან ახლოა. დიახ, ქარიზმული ლიდერით, საერთაშორისო მხარდაჭერის დონით, პოლიტიკური და პიარტექნოლოგიების ცოდნით, ზოგადი კომპეტენციით, მობილურობით, კრეატიულობით, ორგანიზაციული, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით, ასევე მედიასაშუალებებზე კონტროლით „ნაციონალურ მოძრაობას“ უდავო უპირატესობა აქვს. უფრო მეტიც, სანდო წყაროების ცნობით, ოპოზიციისაგან განსხვავებით ხელისუფლებას მუდმივად უჭირავს ხელი საზოგადოების განწყობის პულსზე და დახურულ კვლევებს ლამის ყოველდღიურად ატარებს. ხშირად ამისათვის სულაც არ არის საჭირო ძვირადღირებული კომპანიების დაქირავება. „ნაცმოძრაობის“ კოორდინატორები კორპუსებში, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში „ისახელეს“ თავი, უკვე საკმაოდ გაიწაფნენ მოსახლეობის აზრის გამოკითხვასა და ინფორმაციის შეგროვებაში. ასე რომ, საზოგადოებრივი აზრის ამსახველი „ნედლი მასალა“ მმართველ პარტიას რეგულარულად შესდის და ტაქტიკის კორექციის საშუალებას აძლევს.

**ზაალ ანჯაფარიძე,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

# დედამიწის ზურგზე



### ამერიკულმა „ბოინგ-747“ ლაზერული ძვემეხით ჩაშალა გამოცდა

მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია ჰაერში მოწინააღმდეგის რაკეტების გასანადგურებლად, პირველ გამოცდას როდი გადიოდა. ამჯერად, ლაზერულმა სხივმა კვლავ ვერ დააზიანა მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ მანძილი მანამდე შეამცირეს 100 მილიდან 50-მდე.

* * *



### ცუნამით და ვულკანის ამოფრქვევით ინდონეზიაში დაიღუპა თითქმის 140, უგზოუკვლოდ დაკარგულია 500 კაცი

ვულკანის ამოფრქვევისგან დაზიანებულებს მიღებული აქვთ ძლიერი დამწვრობა, 16 კაცი ცოცხლად დაიწვა. არის იმედი, რომ ზოგიერთი, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგა ცუნამის დროს, გადარჩა, მონახეს თავშესაფარი ხმელეთის ამაღლებულ ადგილებზე, ვარაუდობს ადგილობრივი ხელისუფლება.

* * *



### ირანის ელჩი მოსკოვს „შანტაჟს უწყობს“, იმუქრება ტერორისტებით, ნარკოტრაფიკითა და რუსეთის დაშლით

საჯადის განცხადებაში დიპლომატებმა დაინახეს ის, რომ, თუ რუსეთი გააგრძელებს ირანისგან დისტანცირებას, იგი შეწყვეტს რუსეთის კავკასიის საზღვრების დაცვის უზრუნველყოფას. რუსი დიპლომატების თავშეკავებული უკმაყოფილების პასუხად საჯადიმ უმალვე განაცხადა, რომ მას სწორად ვერ გაუგეს.

* * *



### ობამა ვერ შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე გავლენიანი მამაკაცების ტოპ-ოცეულში.

სახელმწიფოს მეთაური პირველ ადგილზე იყო 2008 წლის ნიმუშის სიაში. მომდევნო წელს ის მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა, ახლა კი 21-ე სტრიქონი დაიკავა. ადგილები 2010 წლის ჩამონათვალში განაწილდა 500 ათასი კაცის კენჭისყრის საფუძველზე, რომელიც მოაწყო ჟურნალმა „ასკმენმა“.

# რა აქვს ჯიბეში პრეზიდენტს?

*როგორ გამოიყურება სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერების შემოსავლები საშუალო ხელფასის ფონზე მათს ქვეყნებში?*

*მოგვყავს მონაცემები როგორც ახლო, ისე შორეული აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნის მიხედვით.*

| ქვეყანა | ლიდერის ხელფასი, ათასობით დოლარში | საშუალო ხელფასი, ათასობით დოლარში | განსხვავება ჯერადობით |
|---|---|---|---|
| რუსეთი (დიმიტრი მედვედევი) | 8 | 0,6 | 13 |
| უკრაინა (ვიქტორ იანუკოვიჩი) | 1,4 | 0,2 | 7 |
| გერმანია (ანგელა მერკელი) | 20 | 3,9 | 5,1 |
| სომხეთი (სერჟ სარგსიანი) | 0,8 | 0,3 | 2,6 |
| აშშ (ბარაკ ობამა) | 33 | 3,3 | 10 |
| ბელარუსი (ალექსანდრ ლუკაშენკო) | 2,3 | 0,35 | 6,6 |




* *2005 წელს წარმოდგენილი უკანასკნელი დეკლარაციის მიხედვით*

*რედაქციისგან: პრეზიდენტი გამოიმუშავებს საგრძნობლად მეტს, ვიდრე საშუალო მოქალაქე, მაგრამ რუსებს სხვა რამ აღიზიანებს — ის, რომ ჩვენთან პრეზიდენტზე გაცილებით მეტს გამოიმუშავებს ზოგიერთი გუბერნატორი, სახელმწიფო კორპორაციისა და სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელი, ხოლო ხალხისა და ოლიგარქების შემოსავალი რუსეთში — ეს ხომ ცა და დედამიწაა!*

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ◉ კვალი საუკუნეში

# „მიწისქვეშა საქართველოს“ დიდი მკვლევარი

## აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე — 80



**გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის, ანტიკური სამყაროს ცნობილი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე მიმდინარე წელს 80 წლის გახდებოდა.**

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომები ნივთიერი კულტურის ძეგლების კვლევას ეძღვნება და ისინი შედარებით-ტიპოლოგიური და სტილისტური ანალიზის ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც გამოყენებულია არქეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული კვლევის უახლესი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მეთოდიკა.

სამაგალითოა მისი გამოკვლევა ვანში აღმოჩენილი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების შესახებ, რომელთა მხატვრული ანალიზის შედეგად და შედარებითი მეთოდის მეშვეობით მან დამაჯერებლად აჩვენა, რომ ძვ.წ. VI-IV სს. კოლხეთში არსებობდა მხატვრული ოქრომჭედლობის მძლავრი და თვითმყოფადი კერა.

აკად. ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომები, რომლებიც გამოცემულია ამერიკაში, რუსეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში, იტალიასა და პოლონეთში არქეოლოგიური მეცნიერებისათვის საზოგადოდ უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა. მან ქართული არქეოლოგიის მიღწევები ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა, როგორც არაერთი საერთაშორისო კონგრესის მონაწილემ. მისი მოხსენებები (უნგრეთში, სირიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) სპეციალისტთა ცხოველ ინტერესს იწვევდა და უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა.

მეცნიერის კვლევის სფერო დიდი ხანია გასცდა საკუთრივ საქართველოს ისტორიის ფარგლებს: იგი შეისწავლიდა აგრეთვე დიდ ბერძნულ კოლონიზაციას და თავისი წვლილი შეჰქონდა ამ მნიშვნელოვანი საკითხის კვლევაში; მის ნაშრომებში ახლებურადაა გაშუქებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის პროცესების თავისებურებანი.

აკად. ოთარ ლორთქიფანიძის კვლევის თემატიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი და მრავალმხრივი ასპექტითაა გაშუქებული ბერძნულ-რომაული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ძველ საქართველოსთან.

მეცნიერის შემოქმედებაში ფართოდაა წარმოდგენილი პირველი ქართული სახელმწიფოების — იბერიისა და კოლხეთის სამეფოების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ქართული, ძველაღმოსავლური, ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და უაღრესად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე განხილულია ამ სამეფოების წარმოქმნის დროისა და პირობების, საზოგადოებრივი წყობის, ურბანიზაციის პროცესის, ქალაქების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, მისი ფუნქციონალური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სამეფო ხელისუფლების ხასიათის, მიწისმფლობელობის ფორმების და სხვა ურთულესი პრობლემები.

ოთარ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „Древняя Колхида“ (1979 წ.) შეჯამებულია მრავალწლიანი კვლევის შედეგები, ახლებურადაა გაშუქებული ძვ.წ. II-I ათასწლეულების კოლხეთის ისტორიის მეტად თავისებური ცივილიზაცია, მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებითა და მეტალურგიით, მრავალრიცხოვანი ქალაქებითა და გაცხოველებული ვაჭრობით.

მრავალფეროვანი და მდიდარი არქეოლოგიური მასალის, აგრეთვე ბერძნულ-რომაული და ძველქართული წერილობითი წყაროების საფუძველზე მონოგრაფიაში „Наследие древней Грузии“ განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოების განვითარების პროცესი, დახასიათებულია მატერიალური და სულიერი კულტურის წამყვანი კომპონენტები.

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის მეცნიერულმა მოღვაწეობამ მას სპეციალისტების დიდი აღიარება მოუპოვა საერთაშორისო მასშტაბით. 1972 წელს მას ირჩევენ პოლონეთის არქეოლოგიის სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილ წევრად, 1978 წლიდან იგი კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის (ცენტრით რომში) ნამდვილი წევრია, ხოლო 1980 წელს კლასიკურ არქეოლოგიაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის აკად. ოთარ ლორთქიფანიძე არჩეულ იქნა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (ცენტრით ბერლინში) წევრ-კორესპონდენტად; იგი იყო აგრეთვე ინდოევროპეისტული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულტანტი, ქ. მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, დაჯილდოებული იყო სპეციალური მედლით გერმანიაში გამოცემული წიგნისათვის „საქართველოს არქეოლოგია“.

აკად. ოთარ ლორთქიფანიძეს მინიჭებული ჰქონდა ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის პრესტიჟული საერთაშორისო პრემია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო პრემია.

თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობით აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა მთელი ქართული მეცნიერების ისტორიაში.

**თამაზ გამყრელიძე,**
**აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**

## ◉ პენიტენციური სისტემა

**(მესამე გვერდიდან)**

# ერიკ იოსტერი: თუკი ჟურნალისტს და ადვოკატს საკუთარი აზრის გამოთქმის ეშინია, ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს

კარგი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას ჰქონდეს შესაძლებლობა, მოახერხოს ციხეების დათვალიერება. თუ მათ არაფერი აქვთ დასამალი, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ ადვოკატებს მიეცეთ შესაძლებლობა, საკნებში არსებულ მდგომარეობას გაეცნონ. ესეც ევროპულ სტანდარტის კატეგორიაა, რომ არსებობდეს ნდობა.

შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანებისთვის მისჯილი სასჯელი დანაშაულის არაპროპორციულია. ციხეები გადატვირთულია. ეს ძალიან ცუდია. მაგალითად, ითვლება, რომ ვირთხები არც თუ ისე საშიში ცხოველებია, მაგრამ თუ მათ ვიწრო გალიაში მოვათავსებთ, ერთმანეთს დაჭამენ. პატიმრებთან დაკავშირებითაც ასეთი მიდგომებია გამოკვეთილი. ეს არ უნდა დავუშვათ.

**— თქვენ მიუთითებთ, რომ საქართველოში არ არსებობს ევროპული კანონმდებლობით აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები. სად ხედავთ გამოსავალს?**

— საქართველოში ნანახის შემდგომ დასკვნა მომზადდება. ამიტომაც შესაბამისად, დღეს შეფასებებში ძალიან ფრთხილი ვიქნები. მე სულ უფრო მიჩნდება ეჭვი საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობაზე. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ადვოკატთა კორპუსი თავისუფალი არ არის და ადვოკატებს აქვთ შიში, რომ მათ რამენაირ მოქმედებებს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება მოჰყვება. ეს ყოვლად დაუშვებელია. დემოკრატია მხოლოდ იმ ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს, სადაც ადვოკატები თავისუფალი არიან და შეუძლიათ სახელმწიფო ძალადობისგან თავდაცვა.

გერმანიის მაგალითზე მოგახსენებთ: ქვეყანაში გვქონდა ისეთი ვითარება, როდესაც ადვოკატები არ იყვნენ თავისუფალი და თავიანთი აზრების გამო ისჯებოდნენ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დღეს გერმანელი ადვოკატები სახელმწიფოსგან მოქმედებებში მთლიანად თავისუფლები არიან. გერმანიაში ადვოკატად დაშვების საკითხი თავად ადვოკატებმა გადაწყვიტეს, ისევე, როგორც ადვოკატისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხიც. ამიტომაც, ეს გახდა ერთ-ერთი წინაპირობა, რომ გერმანიაში ადვოკატთა ინსტიტუტი დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამ საკითხებთან გერმანიის სასამართლოში მიმდინარე დავებშიც ადვოკატები არიან წარმოდგენილი. გერმანელ ადვოკატებს თამამად შეუძლიათ თქვან, რომ ისინი დღეს სახელმწიფოსაგან სრულ ჩაურევლობას განიცდიან. საქართველოშიც ადვოკატთა კორპუსის წარმატება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც გერმანიაში ადვოკატთა ინსტიტუტის გაძლიერებისთვის განხორციელებულ ნაბიჯებს გაიმეორებს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლად, ადვოკატების დამოუკიდებლობასთან ერთად, აუცილებელია დამოუკიდებელი მედიაც. სადაც პრესა თავისუფალია, იქ ადვოკატებიც თავისუფლები არიან. თუკი ჟურნალისტს და ადვოკატს საკუთარი აზრის გამოთქმის შიში აქვს, ქვეყანაში დემოკრატიას ხარვეზი აქვს. ჩემზე უკეთესად, ალბათ, თავად საქართველოს მოქალაქეებმა იციან, არის თუ არა ჟურნალისტი თუ ადვოკატი თავისუფალი. ამას გარე თვალიც არ სჭირდება. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რა არის დემოკრატიის საზომი.



**— ხელისუფლება პრობლემებზე მაშინ რეაგირებს, როდესაც დასავლელი ექსპერტებისა და ავტორიტეტული ორგანიზაციების მითითებები არსებობს. თუმცა მათ შეფასებებში ხელისუფლების საქებარი და მხარდამჭერი განცხადებები უფრო სჭარბობს. რამდენად მისაღებია ასეთი ორმაგი სტანდარტი, არის თუ არა პასუხისმგებელი აღნიშნული ორგანიზაციები თუ ექსპერტები საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე?**

— ამას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს. მე პოლიტიკოსი არ ვარ და ამიტომაც ჩემს შეფასებებში თავისუფალი ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკელები სხვადასხვა ქვეყანაში სამართლიანად არ იქცევიან. ბოლო წლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მათ სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანებთან დაკავშირებით არასწორად გააკეთეს აქცენტები, რათა თავიანთი ინტერესები დაეცვათ. მათ არჩევანი ქვეყნის ძლიერ ფიგურებზე გააკეთეს და არა სამართლიან ადამიანებზე. ვინც ერთხელ მაინც ნამყოფია ამერიკაში, ერთხელ მაინც წაუკითხავს ამერიკული გაზეთი, მასში ბეისბოლის შესახებ და სპორტული კლუბის შესახებ მასალას აუცილებლად ნახავს, ამერიკულ პოლიტიკაზე კი, არაფერი იწერება, არაფერი იწერება საერთაშორისო პოლიტიკაზე.

**— ევროპის წამების დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა დასკვნა საქართველოს ციხეებში პატიმრების არაადამიანური მდგომარეობის შესახებ, თუმცა სტუდენტებთან შეხვედრაზე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრმა განაცხადა, რომ ციხეებში განსასჯელების 80 პროცენტზე მეტის პირობები კარგია. საქართველოში ყოფნის დროს, მიიღეთ თუ არა კონკრეტული ინფორმაცია პატიმრების არაადამიანური მოპყრობის შესახებ, გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პატიმრებს სცემენ იმის გამო, რომ მათ ევროსასამართლოში სარჩელები გააგზავნეს.**

— პატიმრების წამების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს. ვიცი, რომ გამოძიების დროს ბრალდებულებს ბრალის აღიარება ძალადობის ქვეშ უწევთ. თავისთავად, წამებაა მდგომარეობა, როდესაც სრულიად არაპროპორციულ სასჯელს უსჯიან. როცა ასეთი ვითარებაა, ევროპული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თავად პატიმრებს შორის ძალადობა მატულობს. მზად ვარ, საქართველოში ხელმეორედ ჩამოვიდე ჩემივე ხარჯით და ციხეებში ისევ შევიდე, რათა ჩემი ვარაუდები ან დადასტურდეს ან გაქარდეს. როდესაც ციხეებში პატიმრები დასაქმების გარეშეა, ეს უკვე სკანდალია. როდესაც მსგავსი პრობლემა გერმანიაში დადგა, ფედერაციის სასამართლოს წინაშე მოხსენებით წარვსდექი და დასაქმებულ პატიმრებს ხელფასები მოუმატეს.

**— ალბათ შეიტყვეთ, რომ დაკავებულია რამდენიმე ადვოკატი. სხვადასხვა ფაქტის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, ხომ არ შეიმუშავებთ ხელისუფლებისადმი რეკომენდაციებს?**

— ორი რამე უნდა მოხდეს — ყველა ის შემთხვევა, სადაც დაკავებულ ადვოკატებზეა საუბარი, ევროსასამართლოს უნდა გაეგზავნოს და ასევე, რეაგირებისთვის მიეწოდოს საერთაშორისო საადვოკატო ორგანიზაციებს. ასეთი ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა იბრძოლონ ადვოკატთა უფლებებისათვის.

საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის უცხოური ორგანიზაციებისგან ძალიან დიდი ფული შემოდის. მხარდაჭერა უნდა იყოს იმ წარმატებებზე, რომელიც რეალურია. ასეთი სანქციები ეფექტურია. მეზობელი ქვეყნის, თურქეთის მაგალითი საამისოდ საუკეთესო ვარიანტია. სანქციებზე ამიტომაცაა საფიქრალი.

კალათბურთი

# დადიანის საკადრისი



**ტრადიციისამებრ, ქართული საკალათბურთო სეზონი ეროვნული ნაკრების ექს-კაპიტნისა და სპორტის ამ პოპულარული სახეობის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნა.**

ხსოვნის ტურნირი მეცხრედ გაიმართა და მისი გამარჯვებული, უკვე მეხუთედ, რუსთავის „ენერჯი ინვესტი" გახდა. ეს ფაქტი, აბა, როგორ გაგვაკვირვებდა, რომ არა წლევანდელი ბატალიების წინ მიხეილ ბერუაშვილის გუნდიდან ერთბაშად ექვსი (!ძ წამყვანი მოთამაშის წასვლა. ესენი არიან „ჯვაროსანთა" წევრები ანატოლი ბოისა და კოტე ტულუში, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი აკაკი დვალიშვილი, აგრეთვე ზვიად ბაბიაშვილი, მიხეილ ჩიტიშვილი და მიხეილ ჭოჭუა, მათ ნაცვლად კი ქვემოქართლელთა ამბიციური კლუბის მაისური მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტის გუნდის გამთამაშებელმა ბექა წივწივაძემ და კამერუნელმა ლეგიონერმა სამუელ ლამმა მოირგეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველთა მიერ დამდეგი სეზონის ერთ-ერთ ფავორიტთან – შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდთან დამაჯერებელი ანგარიშით მოგებული შეხვედრა – 72:60.

რადგან მომავალი ბრძოლები ვახსენეთ, დავძენთ, რომ სუპერლიგის მორიგ გათამაშებას ერთბაშად სამი ამერიკელი ახალწვეულით ეგებება „სოხუმი", რომელსაც მწვრთნელის ამპლუაში კოლორიტული ფიგურა ვაჟა კვარაცხელია დაუბრუნდა.

საინტერესო სიახლეები სხვაც ბევრია, თუმცა დანარჩენებზე მოგვიანებით ვისაუბროთ, როცა I წრის კალენდარი გამოქვეყნდება.

**გიორგი შოთაძე**

რეტრო

# ისინი იყვნენ არაპროფესიონალები?

**ძერის ორმოდ ქცეული თანამედროვე ფეხბურთი და მილიონები განუყრელი მცნებებია, მაგრამ მაშინ, რამდენიმე ათეული წლის წინათ, როცა დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ იმპერიულ ზესახელმწიფოში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის მილიონთა თასი თამაშდებოდა, მისი სამჯერ მოპოვება, აქედან ორჯერ – ზედიზედ, დაგვეთანხმებით, არაჩვეულებრივი მოვლენა იყო.**

სწორედ ეს მოახერხა თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტულმა კლუბმა „სინათლემ", რომელსაც ტიტულები არც სამშობლოში აკლდა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ მანამდე და შემდეგ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სერგო სიხარულიძისა და მისი მარჯვენა ხელის ვალიკო ირემაძის შეგირდებმა ცხრაჯერ მოიგეს საქართველოს ჩემპიონატი და თერთმეტჯერ დაეუფლნენ რესპუბლიკის თასს, მაგრამ ამ გუნდის მიერ საკავშირო სარბიელზე მიღწეულ წარმატებებს მაინც სხვა ხიბლი ჰქონდა.

პირველად ჩვენმა თანამემამულეებმა 1957 წელს გაისროლეს, როცა ტტს-ის სახელით ასპარეზობდნენ და არაპროფესიონალთა შორის გამართულ სადებიუტო ტურნირში აჯობეს ყველას. მაშინ ტრანსპორტელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ ქაცარავა, იაკუშევი, ტომარაძე, კორძაია, ტაბუცაძე, გალოიანი, სიმონოვი, ირემაძე, ნავროზაშვილი, ჩორგოლეიშვილი, ბარანოვი, დოლიძე, ასლამაზოვი და ცაგარეიშვილი, რომელთაც აღნიშნული ნაკაიკაცარისთვის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

მესაძირკვლეთა გაკვალულ ბილიკს თაობები დაადგნენ და, აჰა, ზედიზედ ორი ტრიუმფიც. 1968 წელს ყველაფერი კრასნოიარსკის „ენისეისთან" უმწვავესი სამრაუნდიანი მეთექვსმეტედფინალით დაიწყო – 2:2, 1:1 და 1:0. შემდეგ „სინათლემ" ერთმანეთის მიყოლებით ჩააბნელა ერევნისა და ლვოვის გუნდები, ნახევარფინალში (პიატიგორსკიძ მათ შევჩენკოს „ტრუდიც" მიაყოლა – 2:0 და ფინალში გავიდა, სადაც მაიკოპში მინსკის „ტორპედოს" სძლია – 2:0 (სიმონიშვილი, თაბაგარიძ.

ამ მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის ელგუჯა გუგუშვილს, მალხაზ მაისაშვილს, ედიკ ჯადოევს, ვაჟა ნემსაძეს (გუნდის კაპიტანიძ, ელგუჯა სილაგავას, ნუგზარ ვარდოსანიძეს, შალვა დევდარიანს, ომარ დვალს, მევლუდ ლორიას, ოთარ კერესელიძეს, რაფიკ აივაზოვს, თამაზ სუხაშვილს, ონორე თაბაგარს, გია სიმონიშვილს, თამაზ შუბითიძეს, ჯემალ მეტრეველს, თამაზ იმნაძეს და კოტე ოდიკაძეს სპორტის ოსტატის კანდიდატობა მიენიჭათ. მათვე დედაქალაქის სპორტკომიტეტმა 100-100 მანეთი გადასცა ჯილდოდ, ხოლო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ადმინისტრაციამ – პალტოები, შარვალ-კოსტიუმები და ფოტოაპარატები.

მოგეხსენებათ, ამა თუ იმ პრიზის ან ტიტულის მოპოვებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნებაა. საამაყოა, რომ ტრანსპორტელებმა ეს უდიდესი ძალისხმევით შეძ-



ლეს. განსაკუთრებით დრამატულად განვითარდა მოვლენები მილიონთა თასის მეცამეტე (კიდევ იტყვიან, ეს ციფრი თარსიაო – **რედ.**ძ გათამაშების ფინალში მოსკოვის „სტრელასთან", თუმცა მანამდე იყო სხვადასხვა ეტაპზე ძლევამოსილად დასრულებული შეხვედრები კემეროვის „კუზბასთან", მოსკოვის „მოლნიასთან" – 1:0 (აბაიშვილიძ, ლვოვის „სოკოლთან" – 3:0 (ჯანელიძე – 2, აბაიშვილიძ და ფრუნზეში „სელმაშოვეცთან" – 1:0 (მეტრეველიძ.

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას – ამ მატჩებში გოლი არ გაუშვია თბილისელთა მეკარეს ელგუჯა გუგუშვილს, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ჟურნალი ყოფილა და ფილმი წინ იყო.

ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ გადამწყვეტი დუელი მოსკოვის „სტრელასთან", რომელსაც კისლოვოდსკის სტადიონზე ესტონელი მსაჯი ე. ჰიარმსი უძღვებოდა, სამი დღის განმავლობაში გაგრძელდებოდა და ისეთი მძაფრი სიუჟეტი ექნებოდა, რომ სწორუპოვარ ბორის პაიჭაძეს „კომსომოლსკაია პრავდასთვის" მიცემულ ინტერვიუში ათქმევინებდა: „ვისაც არ უნახავს ეს ორთაბრძოლა, მას არ უნახავს ფეხბურთი საერთოდ". მაინც, რა მოხდა განთქმულ საკურორტო ქალაქში?

პირველ დღეს მეტოქენი მშრალად დასცილდნენ ერთმანეთს – 0:0 და გადათამაშება მეორე დღისთვის დაინიშნა. ამჯერად სამხრეთელები კატასტროფის პირას იყვნენ – 0:1, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე პარტნიორებს მხსნელად ჯუმბერ ჯაგაშვილი მოევლინათ, რომელმაც 40 მეტრიდან ბურთი მეტოქის კარის ბადის „ცხრიანში" გაახვია – 1:1.

კვანძი ვერც მესამე თამაშის შემდეგ გაიხსნა – 0:0 და უძლიერესის ვინაობა პენალტების სერიას უნდა დაესახელებინა. ნერვების ომად ქცეული მარათონული ლატარია, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – 17:16 დამთავრდა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია – „სინათლის" მეკარეს ელგუჯა გუგუშვილს ოთხჯერ მოუწია „ეშაფოტზე ასვლა" და მან ოთხჯერვე ზუსტად დაურტყა კოლეგას.

მოდით, ათეული წლების შემდეგ კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველებს მაშინდელი სპორტული გმირობის შემოქმედნი: ელგუჯა გუგუშვილი, მალხაზ მაისაშვილი, ედიკ ჯადოევი, ელგუჯა სილაგავა, ტოლიკ სიტკოვი, ვაჟა ნემსაძე (გუნდის კაპიტანიძ, როლანდ კიზირია, ჯემალ მეტრეველი, ნუგზარ ვარდოსანიძე, შალვა დევდარიანი, თამაზ სუხაშვილი, ჯუმბერ ჯაგაშვილი, მევლუდ ლორია, ოთარ კერესელიძე, რაფიკ აივაზოვი, მიშა პირადაშვილი, ჯონი აბაიშვილი, ჯონი ჯანელიძე, ონორე თაბაგარი და გია სიმონიშვილი.

ბარაქალა მათ!

**გია პლატონიშვილი**

ჭიდაობა

# ჩემპიონი დააფასეს

**ამას წინათ თბილისში გამართულ ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს პირველობის შედეგების შეჯამებისას საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ზოგიერთი რაიონის წარმომადგენელმა ასეთ ფორუმზე პირველად დაიპყრო კვარცხლბეკი, იქაურ ხელმძღვანელებს კი არც გახსენებიათ, ამ ყმაწვილთათვის მადლობა მაინც ეთქვათო. თვალწინ დამიდგა 2010 წლის 17 ივლისი.** გამთენიისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უამრავი ხალხი ელოდა პრაღიდან მომავალი ავიალაინერის დაშვებას, რომელსაც ბუდაპეშტის მსოფლიოს პირველობის მონაწილე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც უნდა ჩამოეყვანა. მგზავრთა შორის გახლდათ თანატოლებში 2010 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი დავით ხუციშვილი (74 კგ.ძ. დამხვდურებში მრავლად იყვნენ მისი მშობლიური რაიონის – საგარეჯოს წარმომადგენლები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, ქალაქის მერი გია ბედიაშვილი, პირადი მწვრთნელი რამაზ ასაბაშვილი, მწვრთნელები – ბიჭიკო მარიდაშვილი, კობა საგინაშვილი, დავით ბაბუნიძე, ასევე, ახლობლები, მეგობრები, ფალავნები, ჭიდაობის ქომაგები. აეროპორტიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს გულაჩუყებული ჩემპიონი, რომელსაც თვალები ცრემლით ავსებოდა.



დავით ხუციშვილმა დაიმსახურა ასეთი პატივი. ჯერ ბულგარეთის ქალაქ სამაკოვოში ევროპის პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, შემდეგ უნგრეთის დედაქალაქში იყოჩაღა – მსოფლიოს პირველობაზე იოლად სძლია კოსტარიკელ და ჩინელ მეტოქეებს, მესამე წრეში ირანელი რეზა ალირეზა აფზალიჰაემამის დამარცხებას სამი პერიოდი მოანდომა. ნახევარფინალში რუს არსენ შალაევს შეხვდა, რომელთანაც რიგის საერთაშორისო ტურნირის ფინალი ჰქონდა წაგებული. ორთაბრძოლა ამჯერადაც დაძაბული გამოდგა. პირველი პერიოდი ქართველმა ფალავანმა ქულით მოიგო, მეორე კი ფრედ – 3:3 დაამთავრა, მაგრამ ბოლო ქულის წყალობით რევანში აიღო და ფინალშიც გავიდა, სადაც მას თურქი სიონერ დემირტასი ელოდა. ისინი ევროპის პირველობის გადამწყვეტ პაექრობაშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ საგარეჯოელმა აჯობა. დათომ არც ამჯერად დაუთმო მეტოქეს – სამიდან ორ პერიოდში სძლია და კვლავ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ეს წარმატება იმ დიდი გზისა და ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც საგარეჯოს რაიონში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა – არსენ მეკოკიშვილმა და ლევან თედიაშვილმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა – სპარტაკ ქარსაულიძემ, თენგიზ ასლამაზიშვილმა, გიორგი გზირიშვილმა, ზაურ ქურხულმა, ბიჭიკო მარიდაშვილმა, ანზორ ზურაბაულმა, თამაზ გეგეშიძემ და სხვა სახელოვანმა ფალავნებმა ჩაუყარეს საფუძველი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან თედიაშვილის შემდეგ თავისუფალ ჭიდაობაში საგარეჯოდან ასეთი წარმატებისთვის, ფაქტობრივად, არავის მიუღწევია. ეს ახარებთ ქომაგებს და ახალგაზრდა ათლეტს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის მემკვიდრედაც მიიჩნევენ. ხუციშვილის გამარჯვებებში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს – რამაზ ასაბაშვილსა და ალეკო კახნიაშვილს, ნუგზარ სხირელს, ზაზა ლაფერაშვილს, დავით ბაბუნიძეს, კობა საგინაშვილსა და ნაკრების თავკაცებს. სამშობლოში დაბრუნებულ ჩემპიონს საგარეჯოელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. რაიონის მესვეურებმა ხუციშვილიცა და მისი პირადი მწვრთნელიც ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს.

ბუდაპეშტის მსოფლიოს პირველობის შემდეგ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა უხმეს დათოს. ახლა იგი ფალავანთა კლუბში კი ვარჯიშობს, მაგრამ მთავარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი ოფლისღვრა მოუწევს. უმთავრესი წლის მიწურულს გასამართავი საქართველოს ჩემპიონატი იქნება. იმედია, ახალგაზრდა ფალავანი იქაც იტყვის თავის სათქმელს.

**ვაჟა დანელია**

ინტერნეტიდან

## რეკორდების მსხვრევა

**13 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის მარათონში, რაც მოწმობს ამ ჩრდილოეთის ქვეყანაში სირბილის მოდის დაბრუნებაზე, ათლეტებს შორის 11 პოლიტიკოსიც იყო.**



ქალთა შორის ყველაზე სწრაფი იყო რუსეთელი ტატიანა არისოვა, ახალი რეკორდი რომ დაამყარა. ის ფინიშთან მივიდა 2 საათში, 26 წუთსა და 12 წამში, რითაც დაამხო შვიდი წლის წინათ დუბლინშივე კენიელი რუტ კიტოლის მიერ დამყარებული რეკორდი (2 საათი, 27 წუთი და 22 წამიძ.

კაცთა შორის პირველი იყო კენიელი მოსეს კიბეტი, მან 26,2 მილი გაირბინა 2 საათსა, 8 წუთსა და 18 წამში. მან ასევე დაამხო 2007 წელს რუსი მორბენლის ალექსი სოკოლოვის დამყარებულ რეკორდი – 2 საათი, 9 წუთი და 7 წამი.



## დიდგულა გულშემატკივარი

**ასეთად მიიჩნევენ რუმინეთში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელს, 26 წლის ადინა ბარბუს. მისი აღიარებით, ის რუმინეთის ნაკრებზე და საერთოდ ფეხბურთზე გიჟივით შეყვარებულია.**

„მე ძალზე მიყვარს ფეხბურთი. ეს სიყვარული ბავშვობიდან მამაჩემმა ჩამინერგა, როდესაც ერთად დავდიოდით სტადიონზე. სამწუხაროდ, ჩვენი ეროვნული გუნდი ბოლო დროს ველარ ახარებს გულშემატკივრებს, როგორც ჩანს, ძალზე გვაკლია ახალი ჰაჯი", – განაცხადა ბარბუმ ინტერნეტ-პორტალში.

მისი თქმით, ადრე ის პატარა ქალაქ ბრაშოვის გუნდს ქომაგობდა, ახლა კი მისი გული „სტიაუას" ეკუთვნის.

◉ კოლეგის მოსაგონარი

# შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ...



ეს ფოტოსურათი ზარე ორმოცი წლის წინათ იქნება გადაღებული. ხანშიშესულნი ჯერ კიდევ არ ეთქმით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის „შტაბის“ – სამდივნოს მუშაკებს – „შტაბის უფროსს“ – პასუხისმგებელ მდივანს ვაჟა ჯალაღანიას (ზისძ და მის მოადგილეებს ვაჟა ჭანიშვილს (მარცხნივძ და თენგიზ ყიფიანს.

ერთად ამოწმებენ ისინი ნომრის მაკეტის სიავ-კარგეს, თორემ, საცაა, უნდა მოვიდეს კიდეც გაზეთის რედაქტორი დავით მჭედლიშვილი და ყოველივე აფურში უნდა ჰქონდეს „შტაბს“. ყველამ იცის, „დავით ვასილიჩი“, უდიდეს ყურადღებას რომ აქცევს „კომუნისტის“ ტექნიკურ გაფორმებას...

დღეს, არც ერთი მათგანი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, სამაგალითო ადამიანები, სამაგალითო ოჯახების პატრონები, ქართული ჟურნალისტიკის ერთგული ჯარისკაცები, დიდი პროფესიონალები, რომელთა საქმიანობაც, პირადად ჩემთვის, ყოველთვის მისაბაძი იყო...

განსაკუთრებით ვაჟა ჭანიშვილს დავუახლოვდი, უფრო მას შემდეგ, რაც იგი ინფორმაციის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს და რაღაც-რაღაცეებს მავალებდა ხოლმე რესპუბლიკის ამ უპირველეს გაზეთში ახალფეხადგმულ ჟურნალისტს, თან „ყელის ჩასველების“ ვარიანტშიც გავუგეთ ერთმანეთს. ვაჟამ სამდივნოს გაწამაწიისგან რაღაი „თავი დაიხსნა“, ჩავდიოდით ხოლმე რედაქციასთან ახლოს მდებარე „სამაიას“ ბაღში, ანდა, „ყაზბეგში“, ელბაქიძის დაღმართზე მდებარე იაფიან რესტორნებში, მიამბობდა ათას რამეს ვაჟა, როგორც ტოლს ტოლი, ისე მათამამებდა, უმშვენიერეს ბათუმზე მიყვებოდა, ეს ქალაქი იყო მისი სიცოცხლისა და სიყვარულის საწყისი, ეს ქალაქი იყო მისი აკვნის დამრწევი, აქ ეგულებოდა საამაყო მამა –ბატონი ვასილ ჭანიშვილი, აქ ელოდებოდნენ სიყრმის მეგობრები – ალექსანდრე (შოშიაძ ჩხაიძე, ალექსანდრე სამსონია, გიორგი სალუქვაძე... სხვები და სხვები – გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ „ლომები“... გვაოცებდა ყველას მისი ენციკლოპედიური განათლება, მშობლიური ენისადმი სათუთი დამოკიდებულება, მასალის უზადო რედაქტირება, რუსულის ზედმიწევნით ცოდნა... სამდივნოსგან კი დაისვენა, მაგრამ, როგორც გემოვნებიან „გაზეტჩიკს“, „დავით ვასილიჩი“ მეოთხე გვერდის მაკეტს მაინც მას ახაზვინებდა (მთელი საქართველო ხომ მეოთხე გვერდიდან იწყებდა „კომუნისტის“ კითხვასძ...

მერე ოჯახშიც ავყევი რამდენჯერმე. ძველ თბილისში ცხოვრობდა ერთოთახიან, დაბალჭერიან ბინაში, უსათნოეს მეუღლეს მაყვალა ჭიჭინაძეს სულ ღიმილი ედგა თვალებში, თუმცა, ხედავდა, რომ „ტვინდასეტყვილი ნიკალაის ძველი დოსტები“ ვიყავით, გადაკრულში მყოფთაც ზედმეტი არაფერი გვეშლებოდა და მეც დიდხანს არ შევაწუხებდი ოჯახს, ოღონდ ვაჟასა და მაყვალას ერთადერთ საფიცარ პირმშოს, დედისერთა გიას სადღეგრძელოს კი ნაღდად დავლევდი...

მერე დიღმის მასივში მიიღეს ბინა, გახარებულები, მხარგაშლილები იყვნენ, რედაქციის თანამშრომელი მამაკაცები ვეხმარებოდით ჩვენს ვაჟას ავეჯის გადაზიდვაში, მერე ამ ბინაში გადაიხადა ერთადერთი ვაჟკაცის – გიას ქორწილი. შესანიშნავ ადამიანებს – გიორგაძეებს დაუმოყვრდა... მერე გაჩნდა ბიჭი – დღეს უკვე ბაბუის კვალზე შემდგარი შვილიშვილი გიორგი ჭანიშვილი... და ასე მიდიოდა ცხოვრება...

...1983 წლის გაზაფხულზე მთელი თბილისი შეძრა ვაჟა ჭანიშვილის ტრაგიკულად დაღუპვამ – გასაკვირად, უცნაურად წასვლამ ამ ქვეყნიდან...

ახლა აღარ ღირს ამ ტრაგედიაზე დაწვრილებით საუბარი... მას შემდეგ 27 წელი გასულა, ვაჟა ჭანიშვილი დღეს 80 წლისა იქნებოდა...

ამ სამი თვის წინათ მისმა ვაჟიშვილმა, დღეს უკვე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ქართული ეკლესია-მონასტრების ჭირისუფალმა გია ჭანიშვილმა რედაქციაში შემოგვიარა და თან მისი ავტორობით გამოცემული უნიკალური წიგნი-ალბომი „სამთავრო, წმინდა ნინოს დედათა მონასტერი“ გვისახსოვრა. ესეც გვითხრა, შემოდგომაზე მამაჩემის 80 წლისთავს გადავიხდით და აუცილებლად დაგირეკავთო...

* * *

სიმყუდროვეში გარინდულა მუხათგვერდის პანთეონი. მუხებისა და რცხილების სიმწვანეში ჩაძინებულა აქაურობა. აი, ვაჟას საფლავი, აქვეა ღვაწლმოსილი ქართველი ადამიანების საფლავები, მაგალითად, ჩვენი ძვირფასი კოლეგის ზენო თათარიშვილისა, რომელიც წლების მანძილზე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე იყო...

ვუწყობთ ყვავილებს ვაჟას საფლავს ახლობლები და მეგობრები... უცებ წამოტივტივდა გონებაში ჩვენი ძვირფასი პოეტის, ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორის ზაურ ბოლქვაძის სტრიქონები (უკანასკნელი წლები სწორედ ზაურის მოადგილე იყო „ნიანგში“ ვაჟა ჭანიშვილიძ: „გადაუარა ბალახმა საფლავს – სიცოცხლის წერტილს, შენ ჩემთვის როგორ არა ხარ, მე აღარა ვარ შენთვის“. მერე ეს სტრიქონები გავიმეორეთ რესტორან „ანცში“, სულ თხუთმეტიოდე კაცი ვისხედით იქ – ძირითადად ოჯახის წევრები, ახლობლები და რამდენიმე მეგობარი...

დაქარგა სუფრა თამადამ, ვაჟას ახლობელმა და მეგობარმა, ცნობილმა ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ, მთელი საღამო ვსაუბრობდით ვაჟას კაცურ-კაცობაზე, პროფესიონალიზმზე, კეთილშობილებასა და გულთბილობაზე, ყველას მაგივრად სამადლობელს იხდიდა ქალბატონი მაყვალა – ჩვენი ვაჟას ქვრივი, თავის დროზე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი გამორჩეული თანამშრომელი, დღეს კი გარშემორტყმული შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით...

მადლობა ღმერთს, ჩვენი ძვირფასი ვაჟა ჭანიშვილის სიცოცხლეს მისი შთამომავლობა აგრძელებს...

მაშ, ვაჟა ცოცხალია!..

ვილენ მარდალეიშვილი

◉ ჩვენი კარაბადინი

# ვარდკაჭაჭა ასი დაავადების წინააღმდეგ

ვარდკაჭაჭას ცისფერი ყვავილები, ალბათ, ყველას უნახავს. ეს ამტანი მცენარე გვხვდება მინდვრებში, გზისპირზე, ნარგავებში.

მაგრამ ყველამ როდი იცის ამ ბალახის ყველა სასარგებლო თვისება. არადა, ადამიანების უმრავლესობას არ აწყენდა ვარკაჭაჭასგან (ციკორიასაც ეძახიანძ დამზადებული კერძები და სასმელები თავიანთ ყოველდღიურ რაციონში.



### ვისთვისაა სასარგებლო

● **უფროსებისთვის.** ვარდკაჭაჭას ფოთლებსა და ფესვებში ბევრია „ბ“ ჯგუფის ვიტამინი. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ნერვული სისტემის აწყობილი მუშაობისთვის, ეხმარებიან ორგანიზმს გაუმკლავდეს სტრესს, ხსნიან გაღიზიანებას და ცუდ განწყობილებას. ამ ვიტამინების უკმარისობის დროს თქვენ უძლური ხართ ებრძოლოთ უძილობას და დეპრესიას.

● **გულით ავადმყოფებისთვის.** ვარდკაჭაჭას ფესვებში არის ნივთიერება, რომელსაც „ანტიბინს“ უწოდებენ. ის ხსნის ტაქიკარდიას, აფართოებს სისხლძარღვებს, აწყნარებს ნერვულ სისტემას.

● **მწეველებისთვის.** როგორც ცნობილია, ყოველი მოწეული სიგარეტი ორგანიზმში ანგრევს „ც“ ვიტამინს. მაშასადამე, მწეველები კიდევ უფრო მგრძნობიარენი ხდებიან ვირუსების, ინფექციებისა და ვადამდელი სიბერის წინაშე. ვარდკაჭაჭას ფოთლებსა და ფესვებს შეუძლიათ შეავსონ ასკორბინის დეფიციტი.

● **დიაბეტით დაავადებულებისთვის.** ვარდკაჭაჭას ფესვებში არის ინსულინი – ნივთიერება, რომელიც გვეხმარება კონტროლი გავუწიოთ შაქრის დონეს სისხლში. სხვათა შორის, ინსულინი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, მაშასადამე, გვეხმარება ვებრძოლოთ ზედმეტ კილოგრამებს. ასე რომ, თუ დიდი ხანია ოცნებობთ წვრილ წელზე, ხშირად ჩართეთ მენიუში სასმელები ვარდკაჭაჭისგან.

● **ოფისის მუშაკებისთვის.** თუ იძულებული ხართ დიდი ხნის განმავლობაში იჯდეთ კომპიუტერთან, აუცილებლად გიუარესდებათ მხედველობა. „ა“ ვიტამინის სიუხვე ვარდკაჭაჭას აქცევს საუცხოო პროფილაქტიკურ საშუალებად მხედველობის სიმახვილის შესანარჩუნებლად.

● **მივლინებაში მყოფთათვის.** თქვენ არასოდეს ზიხართ ერთ ადგილზე და მიეჩვიეთ, მიირთვათ „რაც ხელში მოგხვდებათ“? არ არის გასაკვირი, რომ კუჭის აშლილობა, სიმძიმისა და გულის რევის შეგრძნება თქვენი მუდმივი თანამგზავრი გახდა. ჩვეულებრივი ყავა შეცვალეთ ვარდკაჭაჭასგან დამზადებული სასმელით. ყავისგან განსხვავებით, იგი არ აღიზიანებს კუჭის წყლულს, თანაც გვეხმარება თავიდან ავიცილოთ გულისრევა, გვიუმჯობესებს საკვების გადამუშავებას.

● **გამოჯანმრთელებისთვის.** ვარდკაჭაჭასგან დამზადებული ნაყენები და ნახარშები გვეხმარება უფრო სწრაფად მოვმჯობინდეთ ავადმყოფობის შემდეგ და გვიუმჯობესებს მადას. ამას გარდა, მეცნიერებმა მოაწყვეს ცდები, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ ვარდკაჭაჭა ზრდის იმუნიტეტს.

### სხვათა შორის

**თურმე, ვარდკაჭაჭა შეიძლება გახდეს კარგი ალტერნატივა „ცოცხალი“ იოგურტისა, რომელსაც ურჩევენ დისბაქტერიოზის პროფილაქტიკისთვის. მთელი საქმე ისაა, რომ ვარდკაჭაჭას ფესვები შეიცავენ განსაკუთრებულ ნივთიერებებს – პრებიოტიკებს. პირველი – „ჩავთესოთ“ ორგანიზმში სასარგებლო ბაქტერიები გარედან, მაგალითად, იმავე იოგურტების დახმარებით, რომლებიც შეიცავენ ამ მიკროორგანიზმების კულტურებს. მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად როდია. ნერწყვისა და კუჭის წვენის ზემოქმედებით სასარგებლო ბაქტერიები იღუპებიან, და ყველა ბაქტერიიდან, რომლებიც იოგურტში ბუდობენ, ჩვენს კუჭნაწლავ ტრაქტში მხოლოდ ერთეულებიღა ცოცხლობენ.**

მიკროფლორის შემადგენლობის გაუმჯობესების კიდევ ერთი ხერხია – არ გადავტვირთოთ იგი სასარგებლო მიკროორგანიზმებით გარედან, არამედ გამოვზარდოთ მასში საკუთარი ბაქტერიები. იმისთვის, რომ მიკრობებმა დაიწყონ აქტიური გამრავლება, მათ სჭირდებათ „სრულფასოვანი კვება“. ბაქტერიები კი იკვებებიან სწორედ პრებიოტიკებით, რომლებიც უხვადაა ვარდკაჭაჭას ფესვებში. ასე რომ, ნუ დაივიწყებთ დააყოლოთ იოგურტებს ვარდკაჭაჭას სასმელები.

**რეცეპტები**

**აი ვარდკაჭაჭას საფუძველზე დამზადებული მარტივი დიეტური სასმელების რამდენიმე რეცეპტი:**

**„ყავა“ ვარდკაჭაჭასგან. ვარდკაჭაჭას გამხმარი ფესვები დააქუცმაცეთ და გახუხეთ ტაფაზე ოდნავი კარაქით. ასე მომზადებულ ვარდკაჭაჭას 1-2 ჩაის კოვზს ადუღებენ ერთ ჩაის ჭიქა ცხელ წყალში.**

**ვარდკაჭაჭას სასმელი რძით. მარტო ვარდკაჭაჭა, წყალში მოხარშული, ყველას როდი მოეწონება. სასმელის გემო გაუმჯობესდება, თუ მას დაუმატებთ რძეს ან ნაღებს და ცოტა შაქარს.**

◉ ინფორმაცია

## საქართველო-ამერიკას შორის საგანმანათლებლო პროექტები განხორციელდება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის დიდი ალეგენის დეკანს, პროფესორ კურტის პორტერსა და კარნეგი მელონის უნივერისტეტის კომპიუტერული მეცნიერების სკოლის აზიასთან თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორს პროფესორ ჯონ კანგის შეხვდა.**

განათლების სამინისტროს განმარტებით, შეხვედრის მიზანი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი პროექტების ინიცირებაა. ასევე აღნიშნავენ, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების მხრივ მოხდება გაცვლითი პროგრამების განხორციელება, ამერიკის წამყვან სამეცნიერო წრეებში დანერგილი სიახლეების საქართველოში ადაპტირება, ინფრომაციული ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილების გაზიარება.

ХО-ЭОВ-ЭЕО



**ირინა ღლონტი და ლევან დათუკიშვილი მწუხარებით იუწყებიან ოთარ შოთას ძე ღლონტის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ცისანა, თამარ და მამუკა ღლონტებს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28 X, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალი, 21 კორპუსი.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის 1963 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ცისანა ყარაგეიშვილ-ღლონტს მეუღლის ოთარ ღლონტის გარდაცვალების გამო.**



**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური და თბილისის საქალაქო კავშირები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტარანი, სამართალდამცავი ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, ვეტერანთა ცენტრალური კავშირის მუდმივმოქმედი იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი**

**ბაჩუა დავითის ძე გაჩეჩილაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

იჩქარეთ. გამოიწერეთ!

# ვინ თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?

აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“!..

ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და ფიქრია ჩიხრაძის მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება.

ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...

იმედია ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც, პრეზიდენტს მიბაძავს, აქამდე სათოფეზე რომ არ ეკარებოდა პრესას, დღეიდან, ისევ პრეზიდენტის მიბაძვით, არა მარტო დაიწყებს გაზეთების კითხვას, არამედ გამოიწერს კიდეც ჩვენს გაზეთს, თანაც არა ერთი თვით, რასაც თავის თავს არ აკადრებს, არამედ მთელი ერთი წლით, რაც სულ 120 ლარი დაჯდება.



ყველაზე სანდო და ყველაზე ძველი (92 წლის!ძ ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7921 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5233 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8765 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9490 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9618 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2359 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2660 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2736 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6986 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +12 – +20 |
| ქუთაისი. | +14 – +24 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +12 – +25 |
| თელავი. | +12 – +20 |

**შევიძენ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

ქირავდება კომერციული-საოფისე (301 კვ.მ.ძ ფართი პეკინის (გამსახურდიასძ გამზ. 42-ში.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 893-505-112. www.matsne-capital.ge

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ქალიშვილი ტრასაზე დგას და გამვლელი მანქანების მძღოლებს ანიშნებს, წამიყვანეთო. ერთმა გაუჩერა.

– საით? – ეკითხება მძღოლი.

– ქალაქამდე.

– დაჯექით.

– იცით რა? თქვენ უკვე მეშვიდე ქალი ხართ, რომელიც მახლობელ ქალაქამდე მიმყავს.

– მე ჯერ არა ვარ ქალი!

– ჯერ ხომ არც ქალაქამდე მივსულვართ!! თუ ლამაზ გოგოს ეცნობით, უცებ ნუ ეტყვით, რომ მისი ღირსი არა ხართ. დაე, ეს მისთვის სიურპრიზი იყოს.



* * *

იცით რომელია ყველაზე საშინელი ფრაზა, რომელიც მამაკაცმა სექსის დროს შეიძლება გაიგოს?

ეს არის ცოლის სიტყვები: „ძვირფასო, უკვე დავბრუნდი!“

* * *

– ჩემო კარგო, –ეუბნება ტიპი ხელოსანს, მე პიანინოს ასაწყობად მოგიწვიეთ და არა ჩემი ქალიშვილის საკოცნელად.

– მაგრამ თქვენი გოგოც რომ ნერვებაშლილი ჩანს!?

## დღის კალენდარი

**28 ოქტომბერი**

წმიდა ნაზარისა, გერვასისა, პროტასისა, კელასისა (Iძ; მოწამე სილოვანესი, ღაზელ ხუცისა (IVძ; ღირსი პარასკევა სერბიელისა (XIძ.



ამოდის 06.25
ჩადის 17.04



ამოდის 19.02
ჩადის 09.49

### დაიბადნენ:

**1466 – ერაზმ როტერდამელი,** ნიდერლანდელი ჰუმანისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1536 წელს.

**1728 – ჯეიმს კუკი,** ინგლისელი ზღვაოსანი. გარდაიცვალა 1779 წელს.

**1782 – ნიკოლო პაგანინი,** იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1840 წელს.

**1811 – ისააკ ზინგერი,** ამერიკელი გამომგონებელი. გარდაიცვალა 1875 წელს.

**1840 – იაკობ გოგებაშვილი,** პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. გარდაიცვალა 1912 წელს.

**1855 – ივან მიჩურინი,** ცნობილი რუსი სელექციონერი. გარდაიცვალა 1935 წელს.

**1858 – თეოდორ რუზველტი,** აშშ-ს პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1919 წელს.

**1888 – სერგი დანელია,** ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1963 წელს.

**1960 – მამუკა ცეცხლაძე,** მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

**1505 – ივან III,** რუსეთის მეფე.

**1977 – ჯეიმზ კეინი,** ამერიკელი მწერალი.

**1990 – ჟაკი დემი,** ფრანგი კინორეჟისორი.

### მოვლენები:

**1492 წელი** – ქრისტოფერ კოლუმბმა აღმოაჩინა კუბა.

**1924 წელი** – ჩამოყალიბდა თურქმენეთისა და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

**1925 წელი** – ფრედ უოლერმა წყლის თხილამურები დააპატენტა.

**1991 წელი** – ჯოხარ დუდაევი იჩქერიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

**1991 წელი** – პოლონეთში პირველად II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**თურქმენეთი** – დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 30 ოქტომბერს**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.